რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 31 აგვისტო 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საქმიანი განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 193. Редакция „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 135 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 135

ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ტელეფონის ქსელის მოსამსახურენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დილით 27 აგვისტოს ღრმად პატივცემულის და დაუვიწყარ ამხანაგის

ალექსანდრა (საშა) სოლომონის ასულის შოთაძისა

გამოსვენება დანიშნულია საკუთარ სახლიდან, ფოთში, გურიის ქუჩა, ხუთშაბათს 31 აგვისტოს, დაკრძალვა ფოთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნატალია კვანჭახაძისა შვილებით: მოსე, აკაკი, მარო, სონია არაშიძისა მატრონა თავამაიშვილისა, სიძეები: სოლომონ არაშიძე და ლადიმე თავამაიშვილი, ძმა კიშვარდი და ბიძაშვილი ვატა კვანჭახაძენი შვილებით ლავრიკა და ტიტიკო, ბიძაშვილები ანდრო, ლუკა ანა და ყველა კვანჭახაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

სოლომონ გიორგის ძე კვანჭახაძისა

დასაფლავება მოხდება 31 აგვისტოს დილით ხუთშაბათს საათის ორზედ სოფ. ოქროსქედში. (1—1)

პური

წესები პურისა და ფქვილის ბარათებით მისაღებათ

1) პურის ბარათის ტალონები გამოიყენებიან მხოლოთ მათზე აღნიშნულ დღეს.

2) მთელი დღის რაციონი მიეცემა ორი ტალონით.

3) რაციონის რაოდენობას საზღვრავს ქალაქის სასურსათო კომიტეტი თანახმათ იმისა თუ რამდენია შემოზიდული პურის რაოდენობა.

4) **დაკარგულ ბარათების მაგიერი არ მიეცემა.**

5) პურის ბარათი მიეცემა მხოლოთ პატრონს საკუთარი ბინისას, მის ბარათში ჩაიწერება ყველანი ვინც, მის ბინაზე ცხოვრობენ და ერთად სადილობენ.

შენიშვნა: 1) მოსამსახურე, ბინის დამქირავებელი და სხვანი, რომლებიც არ შედიან იმ ოჯახის შემადგენლობაში, სადაც სცხოვრობენ, მიიღებენ ბარათს დამოუკიდებლათ.

შენიშვნა: 2) თუ რომ ბინის პატრონების მხრით შემჩნეული იქნება ბოროტ-მოქმედება იმ პირთადმი, რომლებიც მის ბარათშია შეტანილი, მაშინ მათ ბარათი წაერთმევათ.

6) ფქვილის ბარათი (საჭმლის მისართავათ) მიეცემათ ყველა იმათ ვინც საკუთარ ოჯახობას ეწევა (სამზარეულო.)

7) ბარათები, რომლებზედაც შესწორებები და წაშლილები იქნება გაუქმდება.

8) პურისა და ფქვილის ბარათის მისაღებათ აუცილებელია წარადგინოთ იმ უბნის სასურსათო კომიტეტში, რომელშიდაც სცხოვრობთ, შაქრის ბარათი და დოკუმენტები შემოწმებული, მთავრობისა, საზოგადო და კერძო ორგანიზაციის მიერ, კავშირების და სხვ.

შენიშვნა: 1) ასეთ დოკუმენტებათ ჩაითვლებიან: პასპორტი, მეტრიკული მოწმობა, მოწმობები მთავრობისა, საზოგადო და კერძო ორგანიზაციათა, კავშირებისა და სხვ.

შენიშვნა: 2) მოწმობებში აუცილებლათ უნდა იყოს მოხსენებული ყველა ის პირები, რომელთათვის ბარათები დამზადებულია.

9) იმ შემთხვევაში, როცა იცვლება ოჯახის შემადგენლობა, აუცილებელია წარადგინოთ იმ უბნის სასურსათო კომიტეტში, რომელშიდაც სცხოვრობთ, განცხადება განსაკუთრებულ ბლანკზე, რომელთან ერთათ უნდა წარდგენილ იქნას ერთდაიმავე დროს შაქრის და პურის ბარათები ახლებზე შესაცვლელათ.

10) პურის ბარათების პატრონებმა უნდა აირჩიონ თავის რაიონში ერთი ფურნე, რომლიდანაც მუდამ უნდა წაიღონ პური.

11) პურისა და ფქვილის ბარათი იძლევა უფასოთ.

12) მთავრობისა, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი, ორგანიზაციები, კავშირები, კანტორები, სასტუმროები, სკოლები, ლაზარეთები და პანსიონები მიიღებენ პურისა და ფქვილის ბარათებს პირდაპირ ქალაქის სასურსათო კომიტეტიდან. ამისათვის საჭიროა წარდგენილ იქნას იმ პირთა შაქრის ბარათები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში თუ დაწესებულებაში შედიან, რომელნიც აღწერილ და დამოწმებულ უნდა იქნეს დაწესებულების პასუხისმგებელ პირთაგან. აღწერის ბლანკები მიეცემათ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში.

13) რესტორანები, სასადილოები, საყავეები და სხვ. საზოგადო საკვები ადგილები პურის ბარათების მისაღებათ ვალდებული არიან შემოიტანონ ქალაქის სასურსათო კომიტეტში განცხადება, რომელშიაც უნდა აღნიშნონ საშუალო რიცხვი დღიური მუშტრებისა.

14) ფიზიკური შრომით მომუშავენი, თანახმათ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მუშათა სექციის და ქალაქის სასურსათო კომიტეტის დადგენილებისა მიიღებენ განსაკუთრებულ ბარათებს დამატებითი პურის მისაღებათ. დამატებითი პურის ბარათები მიიღება ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში, სადაც უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა პროფესიონალურ კავშირებისა და დაწესებულებათაგან, რომლებშიაც ეს პირები მუშაობენ.

(3—1) **თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

„ახალი საკრებულო"

(ყოფილი ხირურგების კლუბი). **ხუთშაბათს 31 აგვისტოს**
სომხურ ენაზედ წარმოდგენილი იქნება

„არშინ მალ-ალან"

სიმღერების უმეტესი ნაწილი აგრეთვე ქართულად. შესვლის ფასი 3 მან.—1 მან. დასაწყისი საღამოს 9 საათიდან.

8 კლასიანი ქალთა კომერციული სასწავლებელი
მთავრობის საშუალ. სასწავლებლის ყოველივე უფლებით.

ლ. თ. პეტრაშევსკისა

(მიხეილის პრ., 170) ეგზამენები და განმეორებითი ეგზამენები 11 სექტემბერს. მეცადინეობა დაიწყება 18 სექტემბერს. თხოვნები მიიღება 10—12 საათამდე ყოველდღე. (2—2)

აგენტების საყურადღებოთ

კანტორა „განათლება" უკანასკნელათ სთხოვს აგენტებს: თუ უნდათ, რომ გაზეთის გზავნა არ შეუწყდეთ, პირველსავე დღეებში გამოგზავნონ გაზეთის ფული და ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი **არ გაეგზავნებათ.** (2—2)

კვირას, 3 სექტემბერს დილის 10 საათ. (ახალ დროზე) სახალხო სახლში დანიშნულია
მომხმარებელთა საზოგადოება

„ალორძინება"-ს

წევრთა წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა; 4) წევრთა გამორიცხვა საზოგადოებიდან და 5) მიმდინარე კითხვები. დაბეჭდილი ანგარიშები წევრთ შეუძლიანთ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში. გამგეობა სთხოვს წევრთ უთუოდ დაესწრონ კრებას. **გამგეობა.**

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

8 კლასიანი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ყოველგვარ უფლებით

დ. ი. ბერიოზიშვილის

მიიღებიან მოწაფეები I მოსამზ., უმცროს და უფროსს მოსამზადებელ I, II, III, IV და V კლასში

თხოვნების მიღება ყოველ-დღე. ◆ **გამოცდა დაიწყება 21 აგვისტოს.**

დირექციის კანცელარია ღიაა დილის 9—2 საათ. და საღ. 5—8 საათამდე ბათუმის ქ., № 23. (დიდუბე, (ელისაბედის ქ. ზურგ) მეორე სართული, ტრამვაი 8.

„მოსავალი" (урожай)

იხსნება ახალი მომხ. საზ., რომლის მიზანია გახსნას თფილისის ყველა რაიონში პურის საცხობები. წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: დ. კახელაძესთან ანდუყაფ ქ. № 9. ნ. ვიდიარბინთან—ტრამვაის პარკი. რკინის გზის სახელოსნოში, ვ. ჯოშარჯიძესთან ვაგონის ცეხში, ალ. კუპრიაშვილთან—სორტის ცეხი, პ. ხუროცელაშვილთან ლიტეინის ცეხი, გ. ჩიქოვანთან ტოკარნი ცეხი, გრ. ცინცაძესთან საქვაბის სადეპოში. გ. ზუბალაშვილთან „ალორძინებაში" ვერის განყოფილებაში, ავლაბარში ამხ. „ალორძინებაში" ვ. კანდიძესთან ამიერ კავკასიის მომხ. საზ. კავშირში. **დამფუძნებლები დ. კახელაძე და ლ. მარხაგოვი.**

აუქციონი

თფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 3 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმელისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისაგან.

1 ენკენისთვიდან იხსნება

ჭრა კერვის სასწავლებელი

და სხვადასხვა ხელოვნურ ნაქარგებისა.

ვიღებთ მოწაფეებს და აგრეთვე ყოველნაირ შეკვეთილ საქმეებს. **ნატა კენჭიაშვილი.** ჩერქეზოვის ქუჩა № 15. (1—1)

თფილისის ქალაქის თვითმართველობა

აუწყებს ქალაქ თფილისის მცხოვრებთ, რომ 28 აგვისტოდან მოქალაქეებს შეუძლიანთ ქალაქის თვითმართველობის ყველა დაწესებულებებს როგორც რუსულზე, ისე **ადგილობრივ ენებზე: სომხურზე, ქართულზე და თათრულზე** და სურვილისამებრ იმავე ენებზე მიიღებენ პასუხს ყოველგვარ თხოვნებზე, განცხადებებზე, საჩივრებზე და სხვ. (2—2)

აპოლონ წულაძის

ვაჟს, გოგს, ბათუმიდან ნატანებში მიმავალ მატარებლის მეორე კლასის ღია ვაგონში ხუთშაბათს 24 აგვისტოს შუადღის 4 საათზე დარჩა პატარა ჩემოდანი წიგნებით და საცვლებით. მპოვნელი კარგ საქმეს იზამს თუ გადასცემს ბათუმში პირველ კლასის ბუფეტში ბ-ნ შალიკო ცინცაძეს (2—1)

კავკასიის მცხოვრებთ

კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა შემდეგი მოწოდებით მიმართა კავკასიის მცხოვრებთ:

„**ამხანაგებო და მოქალაქენო!** საშიშარი მოვლენები გვეშლება თვალ-წინ. რიგის ფრონტზე მტრის შემოტევასთან ერთად, იმ შემოტევასთან, რომელსაც თავისუფალი ქვეყნისთვის და რევოლიუციისთვის სიკვდილი მოაქვს, შინაურმა მტერმაც წამოყო თავი და მოქმედებასაც შეუდგა. რიგის ფრონტის გარღვევისთანავე შეთქმულობა იქნა აღმოჩენილი,—მიზნათ ჰქონდათ დასახული მიხეილ ალექსანდრეს ძის ტახტზე აყვანა. მაშინ მათ ეს ვერ შესძლეს, მაგრამ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს არ სძინებიათ: იმ დროს, როცა სამშობლოს, რევოლიუციის და ქვეყნის დასაცავათ საჭიროა მთელი ცოცხალი ძალების დროებით მთავრობის გარშემო შემოკრება, ისინი ცდილობენ დროებითი მთავრობის ჩამოგდებას. გენერალმა კორნილოვმა გადასწყვიტა გახდეს სამხედრო დიქტატორი და კონტრ-რევოლიუციონური საქმის კეთებას მიჰყო ხელი. ტყვილად კი არ უძღვნიდენ სალამს მოსკოვის თათბირზე გენ. კორნილოვს მემარჯვენენი. გენერალმა კორნილოვმა მთავრობას წინადადება მისცა, რათა მისთვის, კორნილოვისთვის, გადაეცა მთავრობას, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ძალა-უფლება, რომ მას ისე განეგო ქვეყნის საქმენი, როგორც თვითონ მოისურვებდა. მან გადასწყვიტა დროებით მთავრობის ჩამოგდება. მთავრობამ წინადადება მისცა კორნილოვს, სამსახურიდან გასულიყო და კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების აღმოსაფხვრელად შესაფერი ზომებიც მიიღო.

კავკასიის ერებო! მოქალაქენო და ამხანაგებო!

ახალი უბედურება კარს გვადგია: ეს არის სამოქალაქო ომი. ჩვენ, თქვენი რევოლიუციონური ორგანოები, რომლებიც სამშობლოსა და რევოლიუციის დარაჯათ ვდგევართ, მოგიწოდებთ მშვიდობიანობისაკენ. ნუ აჰყვებით პროვოკაციულ ხმებს, ნუ მოახდენთ ცალ-ცალკე გამოსვლებს, საქმით დაამტკიცეთ, რომ თქვენ თავისუფალი რევოლიუციონური რუსეთის ღირსეული და ერთგული შვილები ხართ. გულ-ცივად და მშვიდათ შეხვდით მომხდარ ამბებს, შემოკრბით თქვენი რევოლიუციონური ორგანოების გარშემო, გწამდეთ, რომ ისინი მედგრათ დაიცავენ ჩვენი რევოლიუციის მონაპოვართ, მზათ იყავით პირველსავე დაძახილზე გამოხვიდეთ სამშობლოს და რევოლიუციის დასაცავათ.

რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია.

რევოლიუციას ბნელი ძალები თავს დასტრიალებენ, კონტრ-რევოლიუციონერები საჯაროთ გამოდიან და ხალხის თავისუფლებას ემუქრებიან. რევოლიუციონურ ორგანოების ჩვეულებრივი წინააღმდეგობა ახლა პრაქტიკულ მოქმედებაზე გადავიდა და კონტრ-რევოლიუციონერები იარაღით ხელში აპირებენ რესტავრაციის მოხდენას. ტიერ-ბონაპარტები რუსეთშიაც გამოდიან და ჯარის ერთი ნაწილით ცდილობენ ახალის დამხობას და ძველის კვლავ აღდგენას.

ყოველ რევოლიუციას აქვს განსაზღვრული ისტორიულ-რევოლიუციური კანონები და ამ ობიექტიურ კანონებს ვერ წაუვა ვერც ერთი ქვეყნის რევოლიუცია. რევოლიუცია საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების შედეგია და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება ამაგრებს მას.

რევოლიუციის წარმოშობა კი არა, არამედ რევოლიუციის მიერ მოპოებულ თავისუფლების შენარჩუნება—აი რას ამბობდა ვილჰელმ ლიბკნეხტი. რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების შენარჩუნება და მისი გამაგრება კი საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების შედეგია. იმ კლასს, რომელიც რევოლიუციას ახდენს, უნდა ჰქონდეს რევოლიუციონური ძლიერ შესაფერი ორგანიზაცია, რევოლიუციონური ტაქტიკა. იგი, როგორც საუკეთესო სტრატეგი, რევოლიუციონურ მოძრაობას მუდამ სათავეში უნდა ედგეს, მას ფხიზლად უნდა სდარაჯობდეს და კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს სასტიკათ უნდა ებრძოდეს. რევოლიუციამ არ იცის მართალი და მტყუანი. მართალი ის არის, ვინც გამარჯვებულია, მტყუანი კი—დამარცხებული.

ყოველ რევოლიუციის დროს, ამბობს მარქსი, გამარჯვებული რევოლიუციონური კლასი დამარცხებულს სჯის და მას ძალა-უფლებას ართმევს. ასევე იქცევიან კონტრ-რევოლიუციონერები. უკეთუ უკანასკნელები გაიმარჯვებენ, რევოლიუციონერებს მოურიდებლათ დასჯიან და დამარცხებულ ხალხს სისხლის მორევში ჩაახრჩობენ. გავიხსენოთ საფრანგეთის 1871 წლის კომუნის რევოლიუცია, როცა კონტრ-რევოლიუციონერმა ბურჟუაზიამ გაიმარჯვა და მისმა ჯალათმა ტიერმა პარიზის მთელი რევოლიუციონერები სისხლის მორევში ჩაკლა.

რუსეთის ახლო წარსულიც ამის საუკეთესო მაგალითია. 1905 წელს, როცა კონტრ-რევოლიუციამ გაიმარჯვა, რუსეთის იმპერიაში მრავალი ტიერები გამოჩნდენ და დამარცხებულ რევოლიუციონერებზე სასტიკი შური იძიეს: ჩამოხრჩობა, კარმიდამოების გადაწვა, კატორღა-გადასახლება—გამარჯვებულმა რეაქციონერებმა თავიანთ დროშას წააწერეს და დამარცხებული სასტიკათ დასაჯეს. გამარჯვებული დამარცხებულს სჯის და პარდონს არ ეუბნება.

დღეს რუსეთის რევოლიუციას ასეთი ხანა დაუდგა. კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას გვერდში ამოუდგა ძველი რეჟიმის მოტრფიალე ელემენტები და რესტავრაციის მოხდენას აპირებენ. გენერალი კორნილოვი ბნელი ძალების მოგროვებას შეუდგა და მან დიქტატორობის ხელში ჩაგდება მოინდომა. ამ მიზნის გულისათვის პეტროგრადისაკენ ჯარის ერთი ნაწილი გაიწვია და დროებითი მთავრობის დამხობა მოინდომა.

ჩვენ არ ვიცით კორნილოვის ავანტიურა რა ნაყოფს გამოიღებს. მხოლოდ იმის თქმა კი შეგვიძლიან, რომ დღეს რუსეთის რევოლიუციის სათავეში მოექცა ისეთი კლასი—პროლეტარიატი, რომელიც შეგნებით და კლასობრივ ორგანიზაციით გაცილებით ძლიერია, ვიდრე ის ყოფილა სხვა წარსულ რევოლიუციებში. ახლა რუსეთის პროლეტარიატი რიცხვით და შეგნებით იმდენათ ძლიერია, რომ თამამათ შეუძლიან ყოველგვარ კონტრ რევოლიუციას, საიდანაც არ იყოს იგი, გაუმკლავდეს და რევოლიუცია საფრთხიდან იხსნას.

მართალია, დღეს რევოლიუცია არსებულ ბურჟუაზიულ საწარმოვო ურთიერთობის გაუქმებისაკენ არ არის მიმართული და პროლეტარიატი სოციალისტურ რევოლიუციას არ ახდენს, მაგრამ მან მიზნათ დაისახა მინიმუმ პროგრამის განხორციელება და ამ პროგრამის გარშემო შემოკრიბა ფართო დემოკრატია, ხალხის დიდი უმრავლესობა.

აი ამ ფართო დიდი უმრავლესობის განსაზღვრულ რევოლიუციონურ პარტიისა და პროგრამის გარშემო შემოკრებამ დემოკრა-

საერთაშორისო ომი.

რიგის ფრონტის გარღვევის შემდეგ ჩვენი ჯარი თანდათან ძალას იკრებს და მტრის მოწინავე ჯარებს წინააღმდეგობას უწევს. რიგის ყურესთან რამოდენიმეთ წინ წაუწევია ჩვენი ჯარების ნაწილებს. პსკოვის გზიდან მდ. დვინამდის მოწინავე რაზმები იბრძვიან და როგორც დეპეშა იუწყება,—ეს ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ მიმდინარეობს.

რუმინიის ფრონტზე სამხედრო მოქმედება გაცხოველდა. მტერი ფართო შეტევას აწარმოებს. რუმინიის ჯარი იგერიებს მტრის იერიშებს.

საფრანგეთში ცხარე ბრძოლაა. გერმანელები აქაც შეტევას აწარმოებენ. ფრანგები იგერიებენ იერიშებს და იერიშებითვე უპასუხებენ.

ბელგიაში გერმანელებმა შორს მსროლელი ზარბაზნები აამოქმედეს.

კავკასიის ფრონტზე საყურადღებო არაფერია.

იტალიის ფრონტიდან დღეს ცნობა არაა.

ტის მოწინააღმდეგებით ძილი დაუფრთხო და ისინიც შეუდგენ ძალების მობილიზაციას.

მაგრამ საერთო რევოლიუციონური ძალთა განწყობილება რევოლიუციონურ კლასების სასარგებლოთ ლაპარაკობს: კორნილოვისა და მათი ამყოლების ავანტიურა რევოლიუციონერებს უფლებას ვერ წაართმევს. მაინც საჭიროა რევოლიუციონური პარტიები და კლასები გაერთიანდენ, შეკავშირებულათ გამოვიდენ და კონტრ რევოლიუცია სათავეში ჩაახრჩონ. უკვე შესდგა რევოლიუციონური დირექტორია, რომელიც უფლებით არის აღჭურვილი და ყოველ ღონეს იხმარს კონტრ-რევოლიუციონერების დასამარცხებლათ.

მაგრამ ეს არ კმარა—საჭიროა დასახელებულმა რევოლიუციონურმა დირექტორამ რევოლიუციონური პროლეტარიატის დირექტივებით მოქმედოს და მოწინააღმდეგეთ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს. ეს ბრძოლა პირდაპირი და მოურიდებელი უნდა იყოს და [illegible] დათმობას ადგილი არ უნდა ქონდეს.

რევოლიუციონურმა კლასმა ამ რევოლიუციის ქარტეხილში, როცა კონტრ რევოლიუციონერებმა თავი წამოყვეს და ქუჩაში გამოდიან, რყევას თავი უნდა დაანებოს, გამარჯვებულის როლი უნდა ითამაშოს და ხალხის თავისუფლების მტერთა წინააღმდეგ ულმობელათ იმოქმედოს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება რევოლიუციის ხსნა და კონტრ-რევოლიუციის სათავეშივე ჩახრჩობა.

პეტროგრადის ამბები.

28 აგვისტოს პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან ტფილისში შემდეგი დეპეშა მოვიდა: სამხედრო და სამოქალაქო ძალა-უფლების გადაცემის მოთხოვნასთან ერთად, რომელიც გენერალმა კორნილოვმა დროებით მთავრობას წაუყენა, ათი-ათასობით ცხენოსანი ჯარით პეტროგრადისაკენ გაილაშქრა იმ არეულობის ჩასაქრობათ, რომელიც თითქოს ბოლშევიკების მიერ ყოფილიყო გამოწვეული დროებით მთავრობის წინააღმდეგ. პეტროგრადის მთელი ჯარები დროებით მთავრობისა და რევოლიუციის მხარეზე არიან. პეტროგრადის გენერალ-გუბერნატორათ დაინიშნა სავინკოვი. კორნილოვის ჯარის ნაწილი გზაში შეაჩერეს. დააპატიმრეს 80 აფიცერი, ვლ. ლვოვი, ბალაშოვი და პურიშკევიჩი. კორნილოვმა უარი განაცხადა მთავარ-სარდლის მოვალეობის გადაცემის შესახებ. კერენსკიმ ბრძანება გასცა მისი დაპატიმრებისა და პეტროგრადში მოყვანის შესახებ. პეტროგრადში და მოსკოვში სულიერი განწყობილება მშვიდობიანია. სრული წესიერებაა. ყაზახთა ჯარების საბჭომ დელეგაცია გაუგზავნა დროებით მთავრობას, რათა ბოლო მოუღონ ჩამოვარდნილ კონფლიქტს. გიორგის კავალერებმა დაადგინეს მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას.

დროებითი მთავრობის განცხადება.

პეტროგრადი. გენერალ კორნილოვს და მის გარშემო შემოკრებილ აჯანყებულ ჯგუფთ არავითარი გასავალი არ აქვთ არც ჯარში, არც ფლოტში. ფრონტების მთავარი სარდლები, სამხრეთ დასავლეთის ფრონტის სარდლის გენ. დენიკინის გარდა, ყველანი დროებითი მთავრობის მხარეზე არიან თავიანთი ჯარებითურთ. სარდლები ყველგან დროებით მთავრობის კომისრებთან და ჯარების კომიტეტებთან შეთანხმებით მოქმედებენ. გენერალი დენიკინი თავისი შტაბითურთ დაკავებულია. ბრძოლის საქმეს კომიტეტების სასტიკი კონტროლის ქვეშ ისევ დაკავებული გენერალი დენიკინი აწარმოებს. საგანგებო არმიის გენერალი ერდელიც დაპატიმრებულია თავისი შტაბის ზოგიერთ წევრებითურთ, ვინაიდან მათ წინააღმდეგობა განაცხადეს. ბალტიის ფლოტი უფროსითურთ დროებით მთავრობის მხარეზეა. მხოლოდ ჯარის ზოგიერთი ნაწილები, რომლებიც კორნილოვმა მოტყუილებით პეტროგრადის წინააღმდეგ წაიყვანა, გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან. ჯარების პეტროგრადისაკენ წამოსვლა შეჩერებულია და მათ შორის ყოველივე კავშირი გაწყვეტილია. ამ ჯარების ზოგიერთი ნაწილების დელეგატები გამოცხადდნენ პეტროგრადში და განაცხადეს: ბრძანება გვებოძეთ ისეთი პირები დავაპატიმროთ, რომლებიც დროებით მთავრობას არ ემორჩილებიანო. დროებითი მთავრობამ ყოველივე ზომები მიიღო პეტროგრადის დასაცავათ. ყოველივე იმედია, რომ სისხლის ღვრა და სამოქალაქო ომი არ მოხდება. რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან, მცხოვრებთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან დეპეშები მოდის დროებით მთავრობის მხარის დაჭერის შესახებ. დროებითი მთავრობის მუშაობა მოითხოვს, რათა მცხოვრებნი მშვიდათ იყვნენ და ყველაფერში დაემორჩილონ მთავრობის განკარგულებებს. ხელს აწერს: მინისტრი თავმჯდომარე, საზღვაო და სამხედრო მინისტრი ა. კერენსკი.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა წერეთლის მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „მიენდოს ამხანაგ კერენსკის მთავრობის შედგენა, რომლის უმთავრესი დანიშნულება იქნება გაბედული ბრძოლა შეთქმულობისა და კორნილოვის წინააღმდეგ. ამ საქმეში მას მხარის დაჭერას აღუთქვამს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტები". ეს რეზოლიუცია დიდის ხმის უმეტესობით იქნა მიღებული. სხდომა ღამის 11 საათიდან დილის 11 საათამდე გაგრძელდა. ყველა ფრაქციები დათანხმდენ კერენსკისთვის მხარის დაჭერაზე. დიდი გავლენა მოახდინა ხმის მიცემის დროს კორნილოვის მოწოდებამ, სადაც ის ამბობს: მთავრობა ბოლშევიკების ხელშია, მათ რუსეთის დაღუპვა სურთ, მე კი უნდა დავიხსნა რუსეთიო. შემდეგ სხდომაზე გადაწყდა შეადგინონ საგანგებო კომიტეტი დეპუტატთა საბჭოების, პოლიტიკური პარტიების და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლთაგან. ამ კომიტეტმა საჭირო ზომები უნდა მიიღოს, მთავრობასთან საქმე დაიჭიროს და სხ.

მოსკოვი. ქალაქის თავმა მოწოდებით მიმართა მცხოვრებთ, რათა დროებით მთავრობის გარშემო შემოკრბენ და დაიცვან წესიერება. ღამით დეპუტატთა საბჭოების, სოციალისტური პარტიების და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლების კრებაზე გადაწყდა მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს მოსკოვის ჯარებმა.

ბერდიჩევი. ფოსტა-ტელეგრაფი საფრონტო აღმასრულებელმა კომიტეტმა დაიკავა. იქ კომიტეტის წევრები მორიგეობენ. შტაბში მუშაობა არ შეწყვეტილა.

ადესა. ქალაქში სიწყნარეა. ბოლშევიკების მიერ განზრახული შეიარაღებული დემონსტრაცია არ მომხდარა. ანარქისტებისა და შავრაზმელების ცდა, რომ გაევრცელებიათ ფურცლები, რომლებითაც დასარბევათ მოუწოდებდნენ, ჯარისკაცების მიერ მიღებული ზომების წყალობით უშედეგოთ დამთავრდა.

პეტროგრადი. კერენსკიმ პეტროგრადის ჯარებს მიმართა მოწოდებით, რომელიც ასე თავდება: იმ ჯარებმა, რომლებიც კორნილოვმა მოტყუილებით აამხედრა მთავრობის წინააღმდეგ, დევ თითონ გაიგონ, თუ რა შეცდომა ჩაიდინეს. და თუ ისინი ამას ვერ შეიგნებენ მე დარწმუნებული ვარ თქვენ მედგრათ და შეუპოვრათ შეასრულებთ თქვენ მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ვიტებსკი. დეპუტატთა საბჭოებმა ზომები მიიღეს კონტრ რევოლიუციის წინააღმდეგ. ქალაქში „პატრული" დადის. ფოსტა ტელეგრაფზე დარაჯები დააყენეს.

მინსკი. შესდგა სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტი, რომელშიაც შედიან—ქალაქის თვითმართველობის საფრონტო და ქალაქის საბჭოთა წარმომადგენლები და კომისარი; დაადგინეს მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას.

კიევი. უკრაინის ცენტრალური რადის გენერალურმა სეკრეტარიატმა, ჯარების უფროსმა, დეპუტატთა საბჭოებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა მოწოდებები გამოსცეს, სადაც ამბობენ—რევოლიუციას დავიცავთ და ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს სასტიკათ შევებრძოლებითო.

ხარკოვი. მთავარი საგამომძიებლო კომისიის განკარგულებით რუსთა კავშირის წევრების პროფესორების ციაზგინის, ალბიცკის, გიმმელის და ვექილის ილინის ბინები გაჩხრიკეს.

პეტროგრადი. რუსეთის ყველა მუშებისადმი. ამხანაგებო მუშებო! სამშობლოს და რევოლიუციის მოღალატე გენერალი კორნილოვი აუჯანყდა დროებით მთავრობას. მოხსნა რა მან ფრონტზე რამდენიმე პოლკი ჯარი, გამოილაშქრა პეტროგრადისაკენ, რათა რევოლიუციისათვის გულში მახვილი ჩაეცა. ეს ჯარები პეტროგრადს უახლოვდებიან, ალევებენ სამოქალაქო ომის ცეცხლს, ღუპავენ რევოლიუციის საქმეს. ყველა ფრონტების ჯარები და ფლოტი დროებითი მთავრობის მხარეზე არიან. ამხანაგებო მუშებო! მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სასიკვდილო საშიშროების წამში რევოლიუციონურ ჯართან მჭიდრო შეკავშირებით დაეხმარებით დროებითი მთავრობას აჯანყების ჩაქრობაში. ყველანი თავიანთ ალაგებზე დარჩით და თქვენი მუშაობით მოიხადეთ ვალი რევოლიუციისა და სამშობლოს წინაშე. დროებითი მთავრობა, თქვენს ძალაზე დამყარებული გამონახავს გზას, რომ გამოიყვანოს ქვეყანა ასეთი გაჭირვებული მდგომარეობისაგან, არ დაუთმოს ბრავის რევოლიუციონური ხალხის მონაპოვარი და ქვეყანაც დამღუპველ კრიზისამდე მიიყვანოს. ხელს აწერს შრომის მინისტრი მ. სკობელევი.

დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

(28—29 აგვისტო).

კონტრ-რევოლიუციონერები.

ადესა. 28 აგვისტო. ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებულია კონტრ-რევოლიუციონერების შესახებ გამოძიების ანგარიში. პირველათ დაუტუსაღებიათ ავანტიურისტი ვოლსკი პოგორელსკი. შემდეგ აღმოუჩენიათ სამხედრო პირთა შეთქმულთა ჯგუფი, რომელსაც ეწოდებოდა: „რუსეთის მხსნელი კომიტეტი". შეთქმულების გამოსვლა პირველ ენკენისთვის იყო დანიშნული. ამ დღისთვის მოელოდნენ ერთერთ პეტროგრადის გაზეთში განცხადებას, რაც ნიშანი იქნებოდა ყველასათვის. ამ დღისთვის მოელოდნენ ადესაში ერთს მემარჯვენე გამოჩენილ მოღვაწეს.

ვილჰელმი რიგაში.

სტოკჰოლმი. 27 აგვისტო. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ იმპერატორი ვილჰელმი 24 აგვისტოს რიგაში მისულა და სიტყვა უთქვამს. სხვათა შორის უთქვამს: „რიგის აღების ამბავმა მხურვალე სიხარული გამოიწვია გერმანიაში და გერმანიის ჯარის სანგრებში. მე-8 არმიამ დაამტკიცა ჩვენი ნება. ჩვენ იარაღით ვიმოქმედებთ, სანამდისაც არ უნდა გაგრძელდეს ომი. რაც არ უნდა მოხდეს, რამდენხანსაც უნდა გაგრძელდეს ომი,—გამარჯვებათ გაიწიეთ მტერზე, მხიარული გულით და რაინდული ნებით გამარჯვებისაკენ.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 28 აგვისტო. რიგის მიმართულებით პსკოვის გზატკეცილის რაიონში რაურტენეკ-ზეგევოლდე გაიდევს ბრძოლის ხაზთან ჩვენი მოწინავე რაზმი მტრის იერიშებს აჩერებენ. ზოგიერთ ადგილებში ჩვენმა ჯარმა იერიშები მიიტანა და თავისათვის ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა. მეფლეთან ჩვენმა დამზვერავმა ბატალიონმა მტერი უკუაქცია 4 ტყვიის მფრქვეველი წამოიღო და სამხედრო ტყვეები წამოიყვანა. ფრიდრიხშტადტის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მტერს უშედეგო იერიშები მოაქვს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

რუმინიის ფრონტზე, ოკნას დასავლეთ რაიონში ჩვენი და რუმინიის ჯარი მტრის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას ეწევა. ირეშტის აღმოსავლეთით მოწინავე რაზმები იბრძვიან.

პეტროგრადი. 29 აგვისტო. რიგის ყურეს ნაპირებთან, მდ. ინცეოს ბრძოლის ხაზთან მოწინავე რაზმები იბრძვიან, პსკოვის გზატკეცილიდან დვინამდის მოწინავე რაზმების ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ მიმდინარეობს. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

რუმინიის ფრონტი. ქ. რადაუცის სამხრეთ რაიონში მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე სოფ. სოლკასთან, მაგრამ უკუაქციეთ. კიმპოლუნგის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს ერთი მაღლობი. ოკნას რაიონში ცხარე ბრძოლაა.

კავკასიის ფრონტზე. ზაქამის რაიონში, ვანის სამხრეთ აღმოსავლეთით [illegible] ნაწილები ქურთებს წააწყდა. წაართვეს 87 სხვილი ოთხფეხი და 600 ცხვარი. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არაა.

პარიზი. 28 აგვისტო. ვერდენთან მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს სამი კილომეტრის სიგრძეზე. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ამ ბრძოლის დროს ხელთ ვიგდეთ 50 ტყვე. დღის განმავლობაში გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს წაერთმიათ ჩვენთვის ახალი პოზიციები, მაგრამ ვერ მოახერხეს.

გავრი. ბელგიელების ცნობა. 26 აგვისტოს გერმანელების ზარბაზნები ყუმბარას უშენდნენ ჩვენ სანგრებს. ყუმბარები მხრჩოლ გაზს ავრცელებდნენ. მტერმა დაუშინა ყუმბარები აგრეთვე შორს მსროლელ ზარბაზნებიდან „162" მაღლობს. ჩვენებმა უპასუხეს.

ლონდონი. 22 აგვისტო. ღამის განმავლობაში ჩვენ ვმაგრდებოდით წინა დღით აღებულ პოზიციებზე ბოლეკურის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მტრის იერიში ლოოსის რაიონში მოვიგერიეთ. მოდარაჯე რაზმების შეტაკების დროს ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ.

ხონის არჩევნები.

(დეპეშა)

ხონი. აირჩიეს 16 სოც.-დემოკრატი ხმოსანი, 4 სოც.-ფედერალისტი.

შაფაქიძე.

ახალი ამბები

◆ ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული გარდაცვალების ათი წლის თავზე მამა დავითის ეკლესიაში 29 აგვისტოს თფილელმა მიტროპოლიტმა ყ—დ სამღვდელო ლეონიდმ წირვა-პანაშვიდი გადაიხადა. წირვის შემდეგ მიტროპოლიტმა ლეონიდმ სიტყვა წარმოსთქვა, სადაც დახასიათა განსვენებული ილია ჭავჭავაძე. პანაშვიდი იქნა გადახდილი აგრეთვე აკაკის და დიმიტრი ყიფიანის საფლავზე. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

29 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილს, სოფ. წიწამურში, მცხეთიდან ამოსული ილიას პატივისმცემელთა თაოსნობით გადახდილ იქნა პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრო წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელი.

კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად პეტროგრადიდან ცნობების მიღების თანავე შესდგა კავკასიის მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრების სხდომა. დაადგინეს მოწოდებით მიმართონ კავკასიის მცხოვრებთ. არჩეულ იქნა განსაკუთრებული ჯგუფი საგანგებო მინდობილობებით და სახელად დაერქვა კავკასიის რევოლიუციონური ცენტრი. ამ ცენტრს დაევალა ზომების მიღება, რომ კონტრ-რევოლიუციის ცეცხლი არ მოედოს კავკასიას და ჯარებს. ყველა დაწესებულებებში, რომელთა კონტრ-რევოლიუციონერების ხელში ჩაგდება საფრთხეს წარმოადგენს, გარნიზონის უფროსმა ამხ. სტეფ. გ. ახმეტელაშვილმა დაიკავა და იქ სანდო ხალხი დააყენა. 28 აგვისტოს ღამით შესდგა დროებით მთავრობის წარმომადგენლების, ჯარების უფროსთა და რევოლიუციონურ ცენტრის წევრთა შეერთებული სხდომა. ჯარების უფროსმა, გენერალმა პრჟევალსკიმ მოწოდებით მიმართა ჯარს, სადაც ჯარს აფრთხილებს, რომ ის კონტრ-რევოლიუციონერთა მიერ გადაგდებულ ანკესზე არ წამოეგოს. მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას, დაივიწყონ პირადი ანგარიშები და ყველანი, როგორც ერთი კაცი, გამოვიდენ სამშობლოს და რევოლიუციის დასაცავად, ვინაიდან წარსულის მობრუნება აღარ შეიძლებაო. კავკასიის ჯარების ცენტრს აურაცხელი დეპეშები მოსდის ფრონტიდან, სადაც ჯარების სხვადასხვა ნაწილები ნდობას უცხადებენ დროებითი მთავრობას და იტყობინებიან—მზათ ვართ კონტრ რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათო.

◆ **მთვრალ ჯარის-კაცებს და** ზოგიერთ მცხოვრებთ 29 აგვისტოს, ავლაბარში აყალმაყალი მოუვიდათ, რასაც შედეგათ ორი ჯარის-კაცის დაჭრა მოჰყვა. ამ ამბავმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია ჯარის-კაცებში. ღვინით მოვაჭრე ორი კაცი დააპატიმრეს ჯარისკაცებმა და ცემა დაუწყეს. საქმის ვითარება ღამის 2 საათზე თფილისის ჯარების უფროსს ამხ. სტ. ახმეტელაშვილს აცნობეს, რომელიც ავლაბარში გაეშურა და დიდი ცდის შემდეგ რამდენიმეთ შესძლო ჯარის-კაცების დაშოშმინება, მაგრამ დაპატიმრებული მეღვინეები მაინც ვერ დაიხსნა: ისინი ქვებით ჩაქოლეს ჯარის-კაცებმა.

◆ თფილისის საქონლის სადგურის მუშათა კომიტეტი აცხადებს, რომ ღამით 28 აგვისტოს საბარგო მატარებლის ვაგონის წინა სადგომზე დარაჯებმა ნახეს ერთი ტომარა ფქვილი. როგორც ეტყობა, სოფლიდან ჩამოტანილია. პატრონმა მიიკითხოს საქონლის სადგურის კომიტეტში.

კრებები და მიტინგები.

დღეს, 31 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია პირველი სამილიციო უბნის სოც.-დემ. კოლექტივის კრება მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში. საჭიროა ყველა ამხანაგების დასწრება.

— დღეს, 31 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში მოხდება გლეხთა საბჭოს ცენტრის სხდომა. გასარჩევია საყურადღებო კითხვები. სთხოვენ წევრებს და მათ კანდიდატებს დაესწრონ.

— დღეს, 31 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე დანიშნული არის მესამე რაიონულ კოლექტივის კრება. ვთხოვთ ამხანაგებს უეჭველათ დაესწრონ.

ქალაქის საბჭო.

(28 აგვისტოს სხდომა).

კრებას ხსნის თავმჯდომარე ამხ. **ე. გეგეჭკორი**, რომელსაც შემოაქვს განცხადება, რომ პირველი საკითხი ტრამვაის შესახებ იხსნება, ვინაიდან ამ საკითხზე მომხსენებელი ხმოს. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ამ ჟამად თფილისში არ იმყოფება. შემდეგ თავმჯდომარეს შემოაქვს წინადადება,—მოხსნილ იქნას დღიურ წესრიგიდან აგრეთვე საკითხი ქალაქის საბჭოს ნაკაზის პროექტის შესახებ, რადგანაც დადგენილების თანახმათ, ეს საკითხი ჯერ უხუცესთა საბჭოში უნდა გარჩეულიყო; უკანასკნელმა კი ვერ მოახერხა დღემდის შეკრება. ხმოსნებს ცხაკაიას და მახარაძეს აინტერესებთ, თუ რატომ არ ესწრებიან ფრაქციის წარმომადგენლები აღნიშნულ კრებას და მოითხოვენ განმარტებას, განსაკუთრებით „პასუხის მგებელ" ფრაქციიდან. მაგრამ კრება ამას წვრილმანათ სთვლის და იღებს წინადადებას: დაინიშნოს უხუცესთა კრება ოთხშაბათს, საღამოს 8 საათზე და საბჭოს განსაკუთრებული სხდომა ამ საკითხის შესახებ ხუთშაბათს, 31 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე.

მომენტი.

ხმ. დ. მ. პოპოვს ს.-დ. მენშევიკების სახელით შემოაქვს წინადადება, რათა სხვა საკითხებზე უწინ დღევანდელ სხდომაზე განხილულ იქნას საკითხი მომენტის შესახებ. წინადადებას იგი იმით ასაბუთებს, რომ გენ. კორნილოვის გამოსვლა გამო ახლანდელ მომენტს განსაკუთრებული ელფერი აძლევს. ხმ. მ. ცხაკაია თავისი ფრაქციის სახელით უერთდება წინადადებას. წინადადება ერთხმად მიღებულ იქნა. მოხსენებას აკეთებს ამხ. დ. მ. პოპოვი.

ფიცის დარღვევა. ჩვენ ვიცოდით,—ამბობს მომხსენებელი,—და არას დროს არ გვაეჭვებოდა საბედისწერო [illegible]: არ არის რევოლიუცია უკონტრ-რევოლიუციოთ. როგორც კი განვლო რევოლიუციის პირველ დღეების საერთო აღფრთოვანების წუთებმა, თავბრუ დასხმულმა კონტრ-რევოლიუციამ იწყო გამოღვიძება. დღეს კი იგი სოროებიდან სავსებით გამოძვრა და რევოლიუციის საფრთხეთ აშკარათ მოგვევლინა. გენ. კორნილოვის გამოსვლა, რომელმაც მინისტრ-თავმჯდომარე ა. კერენსკის მუქარის წერილი გაუგზავნა და მოსთხოვა მთელი სამხედრო და სამოქალაქო უფლების მისთვის გადაცემა, აშკარათ მოწმობს ამ გარემოებას. ჩვენ მოწმენი ვხდებით უდიდეს სახელმწიფოებრივ ღალატისა. დიდი ხანი არ არის, რაც ჯარმა მთავარსარდალ კორნილოვთან ერთად ერთგულების ფიცი დასდო დროებით მთავრობის წინაშე. დღეს კი ჩვენ ვხედავთ, რომ თვით მთავარსარდალი პირველი აწარმოებს ღალატს, არღვევს გუშინ დადებულ ფიცს.

ხალხის უფლების უზურპაცია. როდესაც კოალიციონური მთავრობა შესდგა, მთელმა რუსეთის დემოკრატიამ მას ნდობა გამოუცხადა. დროებითი მთავრობა, მაშასადამე, მატარებელია ხალხის ნების, მისი უფლების. გენერალ კორნილოვის გამოსვლა, ეს ხალხის უფლების უზურპაციაა. აქ არავისთვის საჭირო არ არის იმის განმარტება, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია გენერალის ასეთი თავხედობა; არ არის საჭირო აგრეთვე იმის თქმა, თუ რა საშიშ შედეგებს გამოიღებს იგი: ეს ყველამ კარგათ ვიცით. საჭიროა ახლა ხმა-მაღლა განვაცხადოთ, რომ ჩვენი რევოლიუციის დედა ბოძი არის დროებითი მთავრობა და მასთან ყველა რევოლიუციონური ორგანიზაციები. ეს საჭიროა პირველ ყოვლისა იმათთვის, ვინც ღალატს ფიქრობს, ან უკვე ულალატეს თავიანთ ფიცს. რუსეთის უდიდესი რევოლიუცია, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიამ არ იცის, დღემდის თითქმის უსისხლოთ სწარმოებს. ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ პირველათ ხალხს, რუსეთის სახელოვან დემოკრატიას, და მერე დროებით მთავრობას და რევოლიუციონურ ორგანიზაციებს. ჩვენ მთელი ღონისძიებით უნდა გავამაგროთ ისეც ის დემოკრატიული ორგანოები, როგორც ადგილობრივათ, ისე ცენტრში. ადგილობრივათ ჩვენ უნდა მოვუწოდოთ მცხოვრებთ, რომ მათ სავსებით დაემორჩილონ მ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს განკარგულებებს. რომ უფრო განვამტკიცოთ ადგილობრივათ რევოლიუციის საფუძველი, ქალაქის საბჭო აუცილებლათ უნდა შევიდეს კონტაქტში მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოსთან, მასთან ერთად ემსახურებოდეს საერთო რევოლიუციის საქმეს.

ს. დ. ფრაქციის სახელით მომხსენებელი კითხულობს რეზოლიუციას (იხ. ქვემოთ—ს.). ლაპარაკობენ ორატორები.

ხმ. ნ. ა. თარხანოვი (ს.-რ.) რუსეთი გაყოფილია ორ ბანაკათ. ის თავხედობა, რომელსაც დღეს ადგილი მიეცა, დიდი ხანია მზადდებოდა. პირველად კონტრ-რევოლიუციონერებმა სცადეს ჯარის წასისიანება მუშათა კლასზე. როდესაც ეს ვერ მოახერხეს, მერე გლეხები წაუსისიანეს პროლეტარიატს. როდესაც აქაც იმედი გაუცრუვდათ, შემდეგ იწყეს სისტემატიური თავ-დასხმა დროებით მთავრობაზე. კონტრ-რევოლიუციონერები მეოთხე დუმიდან მიდიოდენ ყაზახებთან და მათში დროებ. მთავრობას სახელს უტეხდენ. დღეს რევოლიუციას საშინელი საფრთხე დაუდგა წინ: ეს რევოლიუციონურ ფრონტის ახალი გარღვევაა. ჯარი ორ ბანაკათაა გაყოფილი: ჯარისკაცები და მართველი ნაწილი. ადვილი შესაძლებელია, მთელი მმართველი ნაწილი გენ. კორნილოვის მხარეზეა, რაც რევოლიუციას განსაცდელში ჩააგდებს. მაგრამ ჩვენ დავიხსნით რევოლიუციას განსაცდელისაგან! სრული ნდობა დრ. მთავრობას, მ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოებს და ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს! ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვაწარმოებთ კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ. საჭიროა, დაუყოვნებლივ დაჭერილ იქნას კორნილოვი. ჩვენ არავინ არ უნდა დავინდოთ, ვინც კი პირდაპირ თუ არა პირდაპირ კონტრ-რევოლიუციას აწარმოებენ.

ხმ. მ. ცხაკაია (ბოლშ). მოქალაქენო დეპუტატებო! ასეთი საბედისწერო მომენტები რევოლიუციის დროს ბევრი იყო. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, როდესაც მთავრობაში კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია იყო მოკალათებული. და სამწუხაროთ თქვენ (მენშევიკები) მხარს უჭერდით და უჭერთ ასეთ მთავრობას. წერეთელი და სხვ. იქ ვერაფერს ვერ გააკეთებდენ, ვინაიდან მათ საქმე უმრავლესობასთან ქონდათ, რომელიც ბურჟუაზიული იყო. ჩვენ არას დროს არ გვწამდა ბურჟუაზიის რევოლიუციონერობა, ისინი დროს შეუწყვენ და წითელ დროშის ქვეშ ისევ თავიანთ საქმეს განაგრძობდენ. დღეს გენ. კორნილოვი, ბედნიერი გამოქცეული ავსტრიის ტყვეობიდან, აშკარათ გამოვიდა—მაგრამ რატომ მას კერენსკიმ მთავარსარდლობა მისცა? დღეს იგი მის წარმომშობ—ბურჟუაზია საქმეს განაგრძობს. „მილიუკოვშჩინა", „გუჩკოვშჩინა" ეხლა „კორნილოვშჩინა"—ეს ერთი ჯაჭვის რგოლებია... როდესაც ბურჟუაზიამ მთავრობიდან გაქცევა იწყო, სოციალისტები ეუბნებოდენ: გზა ხსნილი, მიბრძანდით. მაგრამ ეს „სოციალისტები" ვერ გაუგენ ლოღიკას: ბურჟუაზია გაიქცა და შემდეგ ისევ ბურჟუებს დაუწყეს მთავრობაში პატიჟება. აქ კი ნამდვილ საქმეს უნდა შედგომოდნენ, სისრულით უნდა წამოეყენებიათ წინ რევოლიუციის მიზნები. რუსეთის პროლეტარიატის 14 მარტის მოწოდებას დასავლეთ ევროპაში საგრძნობი გა-

მოხმაურება მოყვა: ხდებოდა მუშათა გაფიცვები და სხვა. მაგრამ რუს. მუშათა კლასმა თავის „წარმომადგენლების“ სახით არ გამოეხმაურენ ამას და არ დაიწყეს დადებითი მუშაობა, რომ ამით ზავი დაჩქარებულიყო. ამის ნაცვლად ეხლა ისინი საცოდავ სტოკ. კონფერენციაზე ამყარებდენ იმედს. აქაც კი იმედები გაუცრუვდათ: არც ეს ბურჟუაზიასთან „ბლოკისტების“ საცოდავი კონფერენცია შესდგა. საჭირო იყო „ახალი მთავრობის“ შედგენა და არა ნდობის გამოცხადება დრ. მთავრობისთვის... დღეს კონტრ-რევოლიუცია მთელ ქვეყანაში სეირნობს. „სანამ მეხი არ გავარდება, გლეხი პირს ჯვარს არ გადაიწერსო“—ნათქვამია. ჩვენ პოლიტიკური მოღვაწენი ვართ, ჩვენ მეტი მოგვეთხოვება. რათა არ ყურადღ-იღეთ „სპარტაკის ჯგუფის“ მიერ დაწერილი და „პეტროგრ. უწყებებში“ მოთავსებული წერილი, სადაც ნათქვამია: რუსეთის რევოლიუცია საფრთხეშია... თქვენ (მენშევ. და ს.-რ.) უნდა აღიაროთ თქვენი შეცდომები... ჩვენ მხარს დავუჭერთ წამოყენებულ რეზოლიუციას, მხოლოდ იმ მუხლის გამოკლებით, სადაც დრ. მთავრობის ნდობაზე და მხარის დაჭერაზეა ლაპარაკი...

ახალი მთავრობა. ახალი რევოლიუცია. ჩვენ ახალი მთავრობა უნდა შევქმნათ. არავითარი ნდობა კოალიციურ მთავრობას, მთელი ძალა-უფლება საბჭოებს! ეხლა თქვენთვისაც ცხადი უნდა შეიქნეს (მენშევ. და ს. რ.), რომ აუცილებელია ომის შიგნით წარმოება. ომი ჩვენ იმათ, ბურჟუებმა გამოგვიცხადეს. ხელთათმანი გადმოგდებულია. ახალი რევოლიუცია! უამისოთ საქმეს არ ეშველება, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ეხლა იწყება ომი იმპერიალიზმსა და სოციალიზმს შორის! გაუმარჯოს ახალ რევოლიუციას! ძირს კონტრ-რევოლიუცია!

ხმ. გ. გვაზავა (ნ.-დ.). ცხოვრება ყოველ მხრივ აწეწილ-დაწეწილია. რომ იგი თავის კალაპოტში ჩადგეს, ჩვენ გვწამს, რომ აუცილებლათ საჭიროა რევოლიუციის დაცვა. აუცილებლათ საჭიროა რევოლიუციურ ორგანოებისათვის ნდობის გამოცხადება, რომ უფრო გავამაგროთ მათი ავტორიტეტი. ჩვენი ფრაქცია მხარს დაუჭერს წამოყენებულ რეზოლიუციას.

ხმ. შ. ხ. თაჯჯიანი (დაშნაკ.) სომხური მასსა თავის ბედ-იღბალს რუსეთის დემოკრატიის ბედ-იღბალს უკავშირებს. რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ჩვენც მხარს ვუჭერთ და ნდობას ვუცხადებთ დროებით მთავრობას. ჩვენ ეხლა ისეთი საფრთხის წინაშე ვიმყოფებით, რომ ეხლა არაა დრო, ვიკვლიოთ, ვინ მტყუანია და ვინ მართალი. კერენსკი სრულებითაც არ არის მტყუანი იმის გულისთვის, რომ მან მთავარ-სარდლათ გენ. კორნილოვი დანიშნა. ეს გენერალი მტრის წინააღმდეგ იბრძოდა. მტერს ტყვეთ ჩაუვარდა. იქიდან მოვიდა და რევოლიუციის სამსახური დაიწყო. სწორეთ იმიტომ, რომ იგი რევოლიუციურ დროშის ქვეშ ამოეფარა და მას ჯერ კიდევ არაფერი დანაშაული მიუძღოდა რევოლიუციის წინაშე, სწორეთ ამიტომ შეცდა კერენსკი. მაგრამ აქ ხომ სხვაც აუცილებლათ შეცდებოდა. ჩვენ ჯარს უნდა მივაპყროთ მთავარი ყურადღება. ჩვენ ვუერთდებით რეზოლიუციას. მაგრამ არ კმარა მარტო რეზოლიუციები, რომელსაც მხოლოდ მორალური მნიშვნელობა აქვს. საჭიროა რეზოლიუციის განხორციელება საქმეზე.

ხმ. ი. ფ. ხუმაონოვი (კ.-დ.). „სახალხო თავისუფლების“ პარტია ყოველთვის იბრძოდა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. ჩვენ მხარს ვერ დავუჭერეთ წამოყენებულ რეზოლიუციას, რადგანაც იქ ცოტაა ნათქვამი. უნდა დასახელებულ იქნეს გარკვევით ის ჯგუფები, კონ.-რევ. ჯგუფები, რომელზედაც რეზოლიუციაშია ლაპარაკი. რეზოლიუციაში აგრეთვე ცოტაა ნათქვამი დრ. მთავრობის მხარის დაჭერაზე. ჩვენ სავსებით უნდა დავუჭიროთ მხარი დრ. მთავრობას. ჩვენ არ გვწამს ლოზუნგი: „რამდენათაც, იმდენათ...“

ხმ. მ. ო. გრუზენბერგი (ებრ.). ჩვენ, ებრაელები ყოველთვის რუსეთის დემოკრატიასთან ვართ. რუსეთის დემოკრატია ნდობას უცხადებს დრ. მთავრობას. ჩვენთვის ისე, როგორც მთელი დემოკრატიისათვის წმიდაა კერენსკის, ჩხეიძის, წერეთლის სახელები. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ რეზოლიუციას.

ხმ. ფ. მახარაძე დიდხანს ლაპარაკობს და უმთავრეს ნაწილათ შ. ცხაკაიას იმეორებს.

კამათი დასრულდა. კადეტების მხრივ შემოვიდა წინადადება, მიღებულ იქნას ისეთი რეზოლიუცია, სადაც მხოლოდ დრ. მთავრობისთვის სრული მხარის დაჭერაზე იქნება ლაპარაკი. კენჭს უყრიან მენშევიკების ფრაქციის სახელით ამხ. **დ. პოპოვის** მიერ წამოყენებულ რეზოლიუციას.

რეზოლიუცია.

„გაარჩია რა გენ. კორნილოვის მეთაურობით რეაქციონურ ჯგუფების ახალ გაბედულ გამოსვლების შესახებ მინისტრ-თავმჯდომარის განცხადება, ტფ. ქალაქის საბჭო საჭიროთ სცნობს ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების დაუყოვნებლივ ალაგმას. რევოლიუციონურმა დემოკრატიამ უნდა მოიკრიბოს ყოველივე ძალა დაწყებულ კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველად. მთელი ძალ-ღონით დაიცვას მოპოვებული თავისუფლება და ამისთვის არ შეჩერდეს არავითარ უკიდურეს ზომების წინაშე. კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან თავის გაბედულ ბრძოლაში დრ. მთავრობას შეუძლია იმედი იქონიოს მთელი დემოკრატიულ რუსეთის დახმარებისა, რომელიც მზათაა თავგანწირვით დაიცვას თავისუფლება რევოლიუცია და სამშობლო. ტფ. ქალაქის საბჭო მოუწოდებს ქალაქის მცხოვრებთ, მზათ იყვნენ რევოლიუციონურ ორგანიზაციათა პირველ მოთხოვნისთანავე გამოვიდნენ თავისუფლების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად“.

რეზოლიუცია ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა. წინააღმდეგ მისცა ხმა სამმა (კადეტებმა), შვიდმა თავი შეიკავეს (ბოლშევიკებმა). ამხ. მომხსენებლის წინადადებით რეზოლიუციას მიუმატეს შემდეგი: საბჭო კონტაქტშია ქალაქის ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან. (კადეტებმა ამის წინააღმდეგ მისცეს ხმა). **ხურდა.**

(დასასრული იქნება).

გამაერთიანებელი ყრილობა რუს. ს.-დ. მუშ. პარტიისა.

პეტროგრადი (დეპეშა). 26 აგვისტოს ღამით ყრილობა დასრულდა. მოხდა გაერთიანება. ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნა 25 კაცი: მათ შორის აქსელროდი, ჩხეიძე, მარტოვი, წერეთელი, როჟკოვი, ჩხენკელი, მარტინოვი, ლიბერი, დანი, კოლოკოლნიკოვი, ზარიცკაია და იონოვი.

—

მეორეზე მომხსენებლათ გამოვიდა **ა. ა. ავილოვი.** მან მწუხარება გამოსთქვა, რომ ყრილობაზე არ არიან ბოლშევიკების წარმომადგენლები, რომელთაც პროლეტარიატის დიდი ნაწილი მიყვება. ავილოვის აზრით სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის განსხვავება იქიდან გამომდინარეობს, რომ ერთნი რუსეთის რევოლიუციას უცქერიან, როგორც ბურჟუაზიულს, მეორენი კი—ამ რევოლიუციაში ხედავენ მთელი ქვეყნის სოციალისტური რევოლიუციის შესავალს. მაგრამ მომავალის გათვალისწინება არავის არ შეუძლია და ამიტომ მასზე ტაქტიკის აშენება ავანტიურაა. უნდა გვრწამდეს, რომ ომის შემდეგ ცხოვრება საფუძვლიანათ მოეწყობა. ომი იმპერიალისტურია. მისი წყალობით მდიდრდება ბურჟუაზია. დემოკრატიულ საფუძველზე ზავის ჩამოგდება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მთელი ძალა-უფლება დემოკრატიის ხელში იქნება. ავილოვის აზრით ბურჟუაზიას შეგნებულათ მიჰყავს ქვეყანა დაღუპვისაკენ. წარმოებაზე კანტროლის დაწესების საქმესთან დამოკიდებულება ბურჟუაზიის მხრით ამის საუკეთესო დამახასიათებელია—სთქვა მან. მისი აზრით, ფრონტზე არეულ-დარევის გამოწვევა იმათი ბრალია, ვინც ჯარს შეტევისაკენ მოუწოდებდა. ჯარს აიძულებდენ ებრძოლა და არ სცოდნოდა რისთვის, რა მიზნით. მიზნებს კი უკარნახებენ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები. ორივე მხარე დამნაშავეა, მაგრამ ბოლშევიკების წინააღმდეგ ცილის წამებანი ამ უკანასკნელთათ ხალხის თვალში ამაღლებენ, სახელს უკეთებენ და კონტრ-რევოლიუციონერებსაც სამოქმედოთ შემოჰკვლ ხელ ფეხს უხსნიან. მოხსენების დასკვნა ასეთია—მორიგ საკითხათ მიაჩნია მას მთლიანი კლასიური რევოლიუციონური და ინტერნაციონალური მუშათა პარტიის შექმნა.

ამის შემდეგ მარტოვმა წინადადება შეიტანა, რომ დღის წესრიგში ცალკე მუხლად შეეტანათ საკითხი პარტიის მიზნების შესახებ, მაგრამ ეს ყრილობამ უარყო და მომხსენებლებს უფლება მისცა 15 წუთის ლაპარაკისა ხსენებულ საკითხის შესახებ.

წერეთელი აღნიშნავს პარტიის მორიგ საკითხად ზავისათვის ბრძოლას საერთაშორისო დემოკრატიასთან ერთად და ომის დემოკრატიის სასარგებლოდ დამთავრებას. მეორე მიზანია მთელი ძალ-ღონის მოკრება ქვეყნის დასაცავად სამხედრო დარბევისაგან და სამეურნეო ძალების ორგანიზაციის მოწყობა. მუშათა კლასი უნდა ებრძოლოს თავიანთ წრეებში მაქსიმალური მოთხოვნილებების წამოყენებას, ვინაიდან ასეთი მოთხოვნების წამოყენება ეწინააღმდეგება პროლეტარიატის, როგორც კლასის, სასწორით გაგებულ ინტერესებს. **მარტოვის** აზრით, წერეთელმა გაუქმა საკითხი სოციალ დემოკრატიული პარტიის მიზნების შესახებ. მარტოვის თქმით წერეთელი თითქოს ამბობს: სოციალ-დემოკრატიული პარტია ვყვებით იმ ნაფინხებით, რომლებიც საერთო დემოკრატიული და არა პარტიული ორგანიზაციების სამზღვრებში დარჩებაო. წერეთელი და პოტრესოვი შეთანხმდენ კიდეც იმაში, რომ მათი აზრით ამ ჟამად ბურჟუაზია დაინტერესებულია ამ რევოლიუციის განვითარებასა და წესრიგის დამყარებაში, მაგრამ არასოდეს და არსად ეს მიზანი საზოგადოების ყველა კლასებისათვის საერთო არ არის, კერძოდ კი, ბურჟუაზიას ქვეყნის ხსნა ესმის ბურჟუაზიის დიქტატურის დამყარებაში და პროლეტარიატის დათმობაში. დასასრულ მარტოვი აღნიშნავს, რომ დღემდე ჩვენ არ გვქონია დამოუკიდებელი კლასიური ტაქტიკა და ყოველ ჟამში მივსჩანჩალებდით წვრილ ბურჟუაზიასო. **პოტრესოვს** უკვირს, რომ მარტოვი გაკვრითაც არ ითვალისწინებს პარტიის წინაშე წამოყენებულ მიზნებს. საქმე იმაში კი არ არის, რომ ქვეყნის დახსნის მეთოდები სხვადასხვა ნაირია, არამედ იმაში, რომ, რამდენათაც კონტრ რევოლიუციონური ელემენტები შესძლებენ სამარისებურ წესიერების დამყარებას, ბურჟუაზიას ასეთ წესრიგში არაფერი გაეყოფება არ შეუძლია და რამდენათაც ეს ასეა,—იმდენად პროლეტარიატს ბურჟუაზიასთან ერთად საერთო სასიარულო გზა აქვს და ეს სრულიადაც ხელს არ უშლის მას საკუთარი სახე დაინახოს. ამ ჟამად პარტიის მთავარი მიზანია ქვეყნის დაცვა და თავდაცვის საქმეზე გაძლიერებული მუშაობა. მეორე მიზანი უნდა იყოს მთავრობის მოწყობა, აქტიური მონაწილეობის მიღება ქვეყნის საწარმოო ძალების გასავითარებლად და ენერგიული მონაწილეობა სახელმწიფოს აღმაშენებლობის საქმეში. **ავილოვს** პარტიის მორიგ ამოცანად მიაჩნია დემოკრატიულ საფუძველზე ომის შეწყვეტა, წარმოებაზე კანტროლის დაწესება და აგრარული საკითხის გადაჭრა. ამის შემდეგ ყრილობა შეუდგა პოლიტიკური ვითარების შესახებ კამათს.

იახონტოვმა კმაყოფილება გამოსთქვა, რომ წერეთელმა ხაზ-გასმით აღნიშნა რუსეთის პროლეტარიატის მოწინავეობა ზავისთვის ინტერნაციონალურ ბრძოლის საქმეში. ამის შეგნება ჩვენ მოვალეთ გვხდის გვახსოვდეს, რომ პროლეტარიატმა უნდა აწარმოვოს დამოუკიდებელი კლასიური პოლიტიკა. ამიტომ პოტრესოვის შეხედულება მისაღები არ არის. პოტრესოვის აზრით პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის შეთანხმებული პროგრამა შეიძლება გამონახულ იქნას. ასეთმა აზრმა საუკეთესო ნაყოფი მოგვცა კოალიციონური მთავრობის შედგენის პოლიტიკის საქმეში. პოტრესოვს ჰგონია, რომ რუსეთის ბურჟუაზია იმპერიალისტური არ არის. ეს თუ მართალია, მაშ რით აიხსნება საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში მისი დემოკრატიასთან ბრძოლა, მისი დამოკიდებულება სტოკჰოლმის კონფერენციასთან. ჩვენს ყრილობას მარტო რუსეთისთვის არ აქვს მნიშვნელობა. ყრილობამ უნდა სთქვას, რომ ინტერნაციონალური დემოკრატიის შეხედულებას იზიარებს და იბრძოლებს მთავრობის წინააღმდეგ, უკეთუ ის ხელს შეუშლის დემოკრატიულ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. შემდეგ ორატორი უსაყვედურებს პოტრესოვს, რომელმაც სთქვა: მუშები არა სახელმწიფოებრიობას იჩენენო და აღნიშნავს იმ ღრმა წინააღმდეგობას, რომელიც კაპიტალისტურ და დემოკრატიულ ელემენტებს შორის არსებობს. ის მოუწოდებს პარტიამ საბჭოსთან დამოუკიდებლად საკუთარი ტაქტიკა აწარმოვოს. **ხერმუტკი** ეკამათება მარტოვს იმის შესახებ, თითქოს ბურჟუაზიას თვითრავალში რევოლიუციის ლიკვიდაცია მიაჩნდეს. ბურჟუაზიის უკან დახევა მოხდა გვიან,—როცა კითხვა დაისვა რევოლიუციონურ მიზანთა განადგებაზე, სუბიექტიურათ კი—უფრო გვიან მოხდა. პირველ ხანებში საბჭოს ტაქტიკა სწორი იყო. მარჯვნივ გადახრა დაიწყო 13 ივნისს. როცა მთავრობის შედგენა საზამთრო სასახლეში იქნა გადატანილი და იქიდან კი,—მოსკოვში, აი ეს იყო რევოლიუციის დამარცხება. საჭირო იყო თავის დროზე, კადეტების მთავრობიდან წასვლისას, ძალა-უფლების გადაცემის შესახებ საკითხის დასმა. ახლა მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოწოდება საზარალოა. მიხვეულ მოხვეული გზით კრიზისების შექმნა, აი რა გამოჰყვების მარტოვის მოხსენების ტეზისებში. მთავარი მიზანია—საბჭოს სამოქმედო ხაზის გასწორება. **მარტინოვის** აზრით ცენზიანი რუსეთის უკან დახევა დაიწყო იმ მომენტიდან, როცა დღის წესრიგში დემოკრატიული მიზნები დაისვა, განსაკუთრებით თვალსაჩინო ეს მოსკოვის თათბირზე გახდა. იქ ერთ მხარეზე იდგა დემოკრატია, მეორეზე ისეთი ელემენტები, რომელთაც რევოლიუციონური დემოკრატიის დამარცხების დროშა აფრიალეს. კადეტები დიდი ხანია ცდილობდენ რევოლიუციონური მოძრაობის შეჩერებას, ვინაიდან დემოკრატიის დამარცხება მათთვის სასარგებლოა. დემოკრატიამ გამონახა შემოქმედებითი პროგრამა, მაგრამ ის მან ცხოვრებაში ვერ გაატარა. სიტყვა მას უნდა შეეფარდებინა საქმისთვის. დარწმუნებულია, რომ ზავისთვის ბრძოლა უპირველესი საკითხია. ეს ნიშნავს ევროპის პროლეტარიატის ყოველგვარი მოძრაობის მხარის დაჭერას, რომელიც მიმართული იქნება იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მაგ., მკაცრი გამოსვლა მთავრობათა წინააღმდეგ, რომ მათ ხელი არ შეუშალეთ სოციალისტობისთვის სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობაზე. რაც შეეხება სეპარატიულ ზავს, ამას ჩვენ მოგვცემენ გენერლები, რომლებიც დამარცხების მთელს ბრალდებას რევოლიუციას დააკისრებენ. საჭიროა მუშათა დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება მთავრობის, მოკავშირე სახელმწიფოების და საბჭოების მიმართ. ახლა იმაში კი არ არის საქმე, რომ ახლავე გადავიდეს მთავრობისა საბჭოების ხელში, არამედ იმაში, რომ შევქმნათ ისეთი პირობები, რომლებიც საზოგადოებას მოგვცემს ახალ ამოძრავებასთან ერთად ძალაც განვაახლოთ. ახალი აღფრთოვანების დროს ქალაქის მასსა რევოლიუციას გაჰყვება. ისეთ გემს, რომელიც იძირება, არავინ არ გაჰყვება.

სასამართლოს წესის გარეშე დაპატიმრებულნი.

დროებითი მთავრობის დადგენილების თანახმად ტფილისში შესდგა კომისია, რომელიც სასამართლოს წესის გარეშე დაპატიმრებულთა საქმეს განიხილავს. უკეთუ დაპატიმრებული პირი, კომისიის აზრით, ახალი წყობილებისთვის საშიში იქნება, შეუძლია მას ციხეში დასტოვოს ის 20 ოქტომბრამდე. თუ ვინიცობაა, დაპატიმრებულ კომისია უდანაშაულოთ იცნობს, ანთავისუფლებს. კომისიაში შედიან ტფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. კარასევი, ქალაქის თვითმართველობიდან—ვ. თ. ხახანაშვილი, საგუბერნიო კომისარიატისაგან—ი. ი. იდაშკინი.

კომისია საქმეს შეუდგა 26 აგვისტოს სასამართლო პალატის შენობაში. პირველათ კომისიამ გაარჩია რკინის გზის სახელოსნოს ზეინკლის **კოჰალეიშვილის** საქმე. ის გასცა ჟანდარმთა სამართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა პასტრულინმა. მას ბრალდება შემდეგი: ერთსა და იმავე დროს იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და „ოხრანის“ თანამშრომელი—თავის ამხანაგებს ჟანდარმებთან ასმენდა. კომისიამ ბრალდება დამტკიცებულათ სცნო, თუმცა ბრალდებული უარყოფდა, და დაპატიმრების ვადა 20 ოქტომბრამდე გაუგრძელა. ვინმე **ნიკოლოზ ახმეტელოვი**, რომელიც იმავე პასტრულინის ჩვენებით იყო დაპატიმრებული, როგორც „ოხრანის“ საიდუმლო თანამშრომელი, კომისიამ გაანთავისუფლა. სატახტო ქალაქების გაზეთის კორესპონდენტი **ი. კობიაკოვი** თვითონ გამოტყდა, როგორც გამოძიების, ისე კომისიის წინაშე, რომ მან თავისი „სული მიყიდა“ ჟანდარმებს 100 მან. და ეს ჩაიდინა მან ჟანდარმების ძალდატანებით, ვინაიდან მას მუდამ ემუქრებოდენ ხან დაპატიმრებით, ხან ციმბირში გადასახლებით.

დამნაშავე ვარ, რაც გნებავთ, ის მიყავით,—განაცხადა მან.

კომისიამ 20 ოქტომბრამდე გაუგრძელა დაპატიმრების ვადა. **დიმიტრი ჯაშმა** თავი დამნაშავეთ არ იცნო და რამდენიმე მოწმე დაასახელა, რომელთაც დაჰკითხვენ 6 სექტემბერს. კალუგის გუბერნიის მცხოვრები ვინმე **დიმიტრი ზიზაროვი**, რომელსაც პეტროგრადის „ოხრანაში“ თანამშრომლობა ბრალდება, დაუპატიმრებიათ 14 აგვისტოს კავკასიის შტაბის სამხედრო ლიტოგრაფიაში. ის ამბობს: ორი წელი ჟანდარმერიის შიშს ქვეშ ვიმყოფებოდი, მაგრამ არავითარი ცნობა არ მიმიცია: შემდეგ დამიბარეს და დამემუქრნენ—თუ არ დათანხმდები თანამშრომლობას, გაზეთში გამოვაცხადებთო და მეც დავთანხმდი, თუმცა არავითარი ცნობა არ მიმიცია და არც სასყიდელი ამიღიაო, ესეც 20 ოქტომბრამდე ციხეში დასტოვა კომისიამ.

კონონი ცინცაძის და ანდრია ლულაძის საქმე კომისიამ 29 აგვისტოსთვის გადადო. ამათ საქმის შესახებ საჭიროთ დაინახეს დაეკითხოდენ პოლკოვნიკ პასტრულინს.

პოლკოვნიკი **პასტრულინი**... ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი... ტფილისის „ოხრანის“ განყოფილების სულის ჩამდგმელი...

ვინ არ იცნობს მას, და თუ პირადათ არ იცნობს, ვის არ გაუგონია ძველი რეჟიმის დროს ეს მრისხანე გვარი!

პოლკოვნიკი პასტრულინი და „ოხრანა“, ეს მცხოვრებთათვის მეხი იყო! რევოლიუციონური პარტიების წევრებს ის ხომ მოსვენებას არ აძლევდა. შიშის ზარს სცემდა იმ უდანაშაულო მოქალაქეთაც, რომელთაც უბრალო ნაცნობობა, ან სხვა რაიმე არა პარტიული კავშირი ქონდათ ამა თუ იმ პარტიის ან მის თანამგრძნობ წევრებთან.

ძლიერი ვინმე იყო პასტრულინი!

ახლა?

29 აგვისტოს ვნახე ის სასამართლოში. ცოტათი წელში მოხრილი... მელოტი, მოპარსული თავი, მოპარსული წვერი, გრძელი ულვაშები, აპრეხილი ცხვირი, პატარა თვალები!.. საერთო სახის გამომეტყველება არა ინტელიგენტური, ჟანდარმული. როცა ზის,—თვალებს იქით აქეთ აცეცებს. მიხვრა-მოხვრა დაღვეზებული, ლაპარაკი გარკვეული, დამარწმუნებელი!..

როცა კომისია გაარჩენს გამოსატანათ მიდის ცალკე ოთახში, ის თავისი ცოლთან ერთად გარეთ გამოდის. მას კომისიამ ჩვენება რამდენჯერმე ჩამოართვა, როგორც მოწმეს. პასტრულინიც დარბაზში ისე გრძნობს თავს, როგორც თავისუფალი მოქალაქე. სეირნობს „კორიდორში“ ცოლ-შვილთან ერთათ, მხოლოდ მოდარაჯე ჯარისკაცი მას თვალყურს ადევნებს.

ერთ ალაგას ის გაჩერებულია „კორიდორში“, მას რამდენიმე პირი გარს ახვევია. ისიც ლაპარაკობს:

წინათ ათას მანეთს ვიღებდი თვეში, ახლა ას მანეთს ვღებულობ. განსხვავება დიდია. როგორ შეიძლება ამ ფულით ცხოვრება? 100 მანეთზე მეტს ახლა „სტოროჟები“ ღებულობენ! ამიტომ ოჯახის ავეჯეულობა უნდა ვყიდოთ, რომ შიმშილით ცოლ შვილი არ დამეხოცოს! თქვენ დაიმოცვილებო,—ვინ გვაპატიმრებდით ნიკოლოზ მეფის შესახვედრათ რომ მოიხმოდით, მის დასანახათ რომ თავს ასისხლებდით! ჩვენც გვეგონა: ხალხის ასეთი ენტუზიაზმი, განტალება ჩვენი მოქმედება-მოღვაწეობის მხარის დაჭერა იყო!

საინტერესოა პასტრულინი, როცა ჩვენებას აძლევს, როგორც მოწმე: დგას მოწმის ალაგას, ასე გგონია;—ყურები აუცქვეტია, მღელვარება ეტყობა, როცა შეკითხვებზე პასუხს იძლევა.

კი თანამშრომლობდა, სასყიდელს ვაძლევდით,—ამბობს ერთისა და იმავეს.

როცა მას შეეხნე, ასე დაახასიათა თავისი თავი: ერთგულათ ვემსახურებოდი ძველ წყობილებას, თვალითობა, „შანტაჟი“ არ ჩამიდენია—ეს რომ მიზნათ დამესახა, ახლა მილიონების პატრონი ვიქნებოდიო. დაუმათ ძველი წესი, ახლა ისევე ერთგულათ შემიძლია ვემსახურო ახალ წყობილებას, როგორც ძველს ვემსახურებოდიო; თუ კავკასიაში ასე მშვიდობიანი რევოლიუცია მოხდა, თუ აქ ისეთ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, როგორც სხვაგან,—ამაში რამდენიმე წილი ჩემს მოღვაწეობასაც უდევსო. ეს უკანასკნელი მისი სიტყვები დამსწრეებში ღიმილს იწვევს.

არ ვარ დამნაშავე—გამანთავისუფლეთო, მაგრამ კომისია 20 ოქტომბრამდე მაინც სტოვებს მას ციხეში. **კონონი ცინცაძე** თავს დამნაშავეთ არ სცნობს. რევოლიუციონერი ვიყავი, სოც-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ვმუშაობდი. გაცემა რომ მქონოდა აზრათ, მთელ პარტიას გავცემდი. ასეთი არაფერი არ ჩამიდენია. ისევ ის დავრჩები, რაც ვიყავიო. ჩვენება ასეთი აქვს მიცემული ცინცაძეს—პასტრულინმა 50 მანეთი მომცა, მაგრამ ეს ფული იქვე დავუბრუნე და დავყარეო. პასტრულინი ამბობს: ალთა და ჯიბეში ჩაიდოო. კომისიამ ცინცაძეც 20 ოქტომბრამდე დასტოვა ციხეში.

ანდრია ლულაძე ამბობს: ერთ მშვენიერ დღეს ტფილისის პოლიცმეისტერის ბრძანება მივიღე. როცა მივედი,—წინადადება მომცა—სამ დღეში დამეტოვებია ტფილისი და ციმბირში გადავსახლებულიყავ. როცა საქმის გამორკვევას შევუდექი,—პასტრულინთან ამოვყავი თავი. რისთვის მაძევებდენ, ვერ გავიგე. სამაგიეროთ წინადადება მივიღე პოლკოვნიკ პასტრულინისაგან, ცნობები მიმეწოდებინა მისთვის ქართველების ცხოვრებიდან. რამდენიმეჯერ ვიყავი ჩემი საქმის შესახებ მასთან, რამდენჯერმე პასტრულინმაც მიმიწვია, ლაპარაკი გვქონდა სხვადასხვა საგნების შესახებ, მაგრამ არც არავინ გამიცია, არც ფული მიმღია „სახარჯო“, როგორც ამას პასტრულინი ამტკიცებსო. პასტრულინი—კი ამბობს სხვადასხვა დროს 150 მანეთი მივეციო. საბუთი არ მოიპოვება, დაიწვაო. კომისიამ ლულაძე გაანთავისუფლა. ვინმე **შავერდოვს** ბრალდება „ოხრანის“ თანამშრომლობა, დაშნაკცაკანების გაცემა. თავს დამნაშავეთ არ სცნობს. პასტრულინი ამბობს—კი თანამშრომლობდაო. ციხეში სტოვებენ 20 ოქტომბრამდე.

არტემ გასპარიანცს (არტემოვსი) ბრალდება თანამშრომლობა და ჰინჩაკის პარტიის ცხოვრებიდან ცნობების მიწოდება. უარს ყოფს. „ოხრანაში“ არ მიმსახურია. ვმსახურობდი კონტრ დამზვერავთა რაზმში, სადაც პასტრულინის რეკომენდაციით მიმიღეს. ვადევნებდი თვალყურს ოსმალეთის გლეხს და სხ. ვიყავი სომხეთა „დრუჟინის“ უფროსათ. ვმუშაობდი ოსმალეთის სომხებში. მათ ვეხმარებოდი ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგო და სხ. აქ პატარა ინციდენტი მოხდა: ანდრო ჰიაბერიძემ, რომელიც ქალაქის თავმა ვ. ხახანოვის ნაცვლად სხდომაზე გამოგზავნა, პასტრულინი ჩვენებაშია წინააღმდეგობაში დაიჭირა. წინეთ, დაკითხვის დროს, პასტრულინს უთქვამს ერთი, ახლა ამბობს სულ სხვას. როცა ამ წინააღმდეგობაზე მას ჰიაბერიძემ მიუთითა—პასტრულინი დაიბნა, თავზე ხელი გადისვა, კეფა მოიფხანა. გასპარიანცც 20 ოქტომბრამდე დასტოვეს ციხეში. მეფის ნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების უფროსის **პისარსკის** წინააღმდეგ გარკვეული ბრალდება არ არის წამოყენებული—მას საქმის ქაღალდები დაუწვავს დაპატიმრების წინ. პისარსკი ამბობს: პოლიტიკურ საქმეთა გამგეს მეძახდენ, პროვოკაციას მაბრალებენ,—ეს მართალი არ არის. საგანგებო განყოფილებაში პოლიტიკურ საქმეებს ადგილი არ ჰქონია. იქ სხვა საქმეები იყო. 1905 წელს იყო კავკასიაში პოლიციის უფროსი, ის აწარმოებდა ასეთ საქმეებს, შემდეგ ეს თანამდებობა მოისპო, საქმე ჟანდარმერიის გადაეცა. ჩემ ხელში თავს იყრიდა გუბერნატორთა ცნობები, მათი დადგენილებანი საეჭვო პირთა გადასახლების შესახებ. ჩემი მოხსენების თანახმად ბევრს ანთავისუფლებდენ. ისიც ამბობს: ძველი წყობილების დროს დაუღალავად ვმუშაობდი, ასევე დაუღალავად მსურს ვემსახურო ახალ წყობილებასო. რაც შეეხება პროვოკაციას, არა თუ ვაწყობდი, სახელიც ზიზღით კი ვღებულობდი ასეთი მოვლენის წინააღმდეგო. მოჰყავს მაგალითად ბაქოს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პროვოკატორული მოქმედება. ჩემის მოხსენების თანახმად ის გადაყენებულ იქნა სამსახურიდანო. ბევრი საინტერესო ცნობები გამოამჟღავნა მან სასახლის „კამარილიას“ მოღვაწეობის. დაბოლოს სთქვა: მე რომ სამსახური არ მქონოდა მიზნათ, რომ სხვადასხვა პირთა საქმეები მეკეთებია, გარწმუნებთ, ეხლა ციხეში არ ვიქნებოდიო. კომისიამ პისარსკი გაანთავისუფლა.

ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ყოფილი თანაშემწე პოლკ. ფირალოვი კომისიამ 20 ოქტომბრამდე ციხეში დასტოვა.

შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა სტუდენტის **ალ. ჟორჟაშვილის** მიერ ციხიდან გამოგზავნილი განცხადება. ის აღიარებს: „ოხრანაში“ ვმსახურობდი 50 მანეთად თვეში, ცნობებს ვაწვდიდი სათვისტომოს ცხოვრებიდან და სხ. გთხოვთ ჩემდა დაუსწრებლად გამასამართლოთო. ისიც 20 ოქტომბრამდე ციხეში დასტოვეს.

ამის შემდეგ კომისიამ რამდენიმე პირის საქმე გაარჩია, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ არც „ოხრანკასთან“, არც პროვოკაციასთან. მათგან ზოგს ქურდობა ბრალდება, ზოგს სხვა სისხლის სამართლის დანაშაულობა. ზოგიერთის საქმე კომისიამ მოსპო,—ჩვენ არაფერი არ გვაქვს თქვენს წინააღმდეგ და თუ სხვა ბრალდება არ არის, განთავისუფლებთო, ზოგიერთი საქმეები საგანგებო საგამომძიებლო კომისიას დაუბრუნა.

გურიაში.

გურული გლეხი არაფერს არ ზოგავს, რომ თავის ბავშვს წერა-კითხვა ასწავლოს. არ არის თითქმის გურიაში არც ერთი მოზრდილი სოფელი, სადაც არ იყოს პირველდაწყებითი სკოლა, სადაც არ ცდილობენ მის დაარსებას. რომ სკოლა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ხალხის კულტურულ წინსვლის საქმეში—საჭირო არაა ამის მტკიცება. ვინ არ იცის, რომ გურულთა პოლიტიკურ სიფხიზლის შექმნა გამტკიცებაში კოლოსალური როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ გურიაში მასსიური მოვლენაა წერა-კითხვის ცოდნა. გურიაში რომ გაზეთები და წიგნები ვრცელდება ამდენი არ ვრცელდება თფილისის გუბერნიის ყველა სოფლებში.

სკოლების დაარსების საქმეში ამ უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა ერთმა ცალმხრივობამ, რომელიც, ჩემის აზრით, არ შეესაბამება ხალხის ინტერესებს. ყველა დაბებში დაარსებულია პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი. უკანასკნელნი, სიმართლე უნდა ითქვას, შექმნილ გარემოების გამო (სკოლის მატერიალური სივიწროვე, მასწავლებლების ნაკლებობა) ვერ ასრულებენ ოდნავ თავის მოვალეობას.

იმის მაგიერ, რომ საერთო ძალღონით გაამაგრონ და გააძლიერონ დაარსებულნი, გამოუნახონ შესაფერი ხელმძღვანელნი—მასწავლებელნი, სანამ დემოკრატიული მთავრობა შესძლებდეს შესაფერისათ გაუძღვეს სკოლების საქმეს და მატერიალურათ უზრუნველყონ ისინი, ზოგ სოფლებში კიდევ ფიქრობენ გამოეყონ და საკუთრათ გახსნან ასეთი ტიპის სასწავლებლები.

ჩვენის აზრით, გურიის მოწინავე ამხანაგები წინააღმდეგნი უნდა იყვნენ ასე უთავბოლოთ სკოლების გახსნისა. ამხანაგებმა უნდა აუხსნან ხალხს ასეთი მისწრაფების მიზანშეუწონლობა, თორემ ბოლოს საყვედურს იმავე ხალხიდან ვერ გაექცევიან, ვინაიდან სკოლების მიერ გამოწვეული ხარჯები აუტანელ ტვირთათ გადაიქცევა და სასწავლებლებიც, ნაკლებმეტი შესაფერ მატერიალურ მზრუნველობას, იმედებს ვერ გაამართლებენ. სოფლებში საყვედური გაისმის, მეტი გადასახადებია გამოწვეული. რა იქნება, თუ თითო დაბის ნაბიჯზე სკოლები აარსებს. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გასტანს, რევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოფს სკოლების საქმეს სხვა გადაუდებელ კითხვებთან ერთად. საუკეთესო გურიის ამხანაგებმა და მასწავლებლებმა კარგათ მოიფიქრონ და სკოლების დაარსების საქმეს „მოდად“ ნუ გახდიან.

ემელ. ლომთათიძე.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ტფილისი.

28 აგვისტოს პირველი სამილიციო უბნის სოციალდემოკრატიული პრეზიდიუმის სხდომაზე შემუშავებულ იქნა შემდეგი კრების წეს-რიგი: 1) პარტიის წევრების მიღება, 2) საკლუბო კომისიის არჩევა, 3) ჩვენი დამოკიდებულება მე-4 რაიონის კოლექტივთან, 4) ნივთიერი წყარო არსებული ხარჯების დასაფარავათ და სხვა მიმდინარე საკითხები, 5) გადაწყდა პირველ სექტემბრისთვის საზოგადო სოციალდემოკრატიულ პარტიის წევრთა კრებაზე მოწვეულ იქნას მომხსენებლათ ამხანაგი გეპშტეინი, რომელიც გააკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტზე. მოხსენების შემდეგ იქნება ბაასი და აზრთა გაცვლა გამოცვლა.

აბ. ზუკია.

ბაილეთი (გურია).

შაბათს, 19 აგვისტოს პარტიის წევრების კრება შესდგა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გიორგი სირაძე, მდივნათ სიმონ ჯორბენაძე. დღიურ წესრიგში გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება, 2) პრეზიდიუმის არჩევა; 3) პარტიის წევრების მიღება; 4) პარტიის გაყოფა, 5) განცხადება დათა მეხუზლასი; 6) სკოლის შესახებ. მოხსენება გააკეთა გიორგი ლომინაძემ პარტიული მუშაობის შესახებ. სიმონ ჯორბენაძე შეეხო კონტრრევოლიუციონერებს და აღნიშნა, რომ პარტიის წევრები ვალდებულნი არიან თვალ-ყური ადევნონ მათ. პრეზიდიუმში აირჩიეს თავმჯდომარეთ გიორგი სირაძე, ამხანაგათ ქრისტეფორე კვერღელიძე, მდივნათ სით ჟღენტი; ხაზინადრათ: ყარამან მამულაიშვილი; ორგანიზატორათ მაქსიმე ცერცვაძე, ბესარიონ ტიგურაძე, ლეპინე ტიგურაძე. მიიღეს ახალი წევრები.

სიმონ ჯორბენაძე.

ხად. აჯიკაბული.

19 აგვისტოს აქ შესდგა აჯიკაბულის რაიონული ს.-დ. პარ. წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო ას ოცამდე პარტიის წევრი.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხანაგი გ. ბოკერია.

თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით მიმართა კრებას, ის შეეხო პარტიის წევრების ვალდებულებას და აღნიშნა, რომ ხშირათ კრებებს ესწრებოდენ ყველანი.

ამის შემდეგ გაარჩიეს შემდეგი კითხვები: 1) სამკითხველოს მომწყობი კომისიის არჩევნები, 2) მოსკოვის რკინის გზის მოსამსახურეების გაფიცვის მოწოდება და 3) ლიტერატურულ სექციის მოხსენება.

სამკითხველოს მომწყობ კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. ბოკერია, სულაბერიძე, ჩერნიშევი, ნაკაიძე და მანჯგალაძე. კანდიდატებათ: კაპანაძე, ჯუღელი, ფირცხალაიშვილი და ჩერნოვი.

აღნიშნულ კომისიას დაევალა, გამონახოს ბინა სამკითხველოსთვის, მოაწყოს ხელის მოწერა და გახსნას სამკითხველო.

რკინის გზის გაფიცვების გამო კრებამ გაითვალისწინა რა დღევანდელი მდგომარეობა, ყოვლად შეუძლებლად აღიარა ასეთ კრიტიკულ მომენტში გაფიცვის მოხდენა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ლიტერატურულ სექციის წევრი ამხანაგი ფუტკარაძე.

მან მოკლეთ განმარტა ჟურნალ-გაზეთების გავრცელების აუცილებელი საჭიროება ფართო მასაში და შემდეგ გააცნო კრებას, თუ რა მდგომარეობაშია დღეს გაზეთების გავრცელების საქმე აჯიკაბულში.

გაზ. „ერთობა“-ზე ხელის-მომწერთა რიცხვი აღმოჩნდა 25-მდე.

„ბორბა“ და რუსული „სოციალდემოკრატი“ მოდის ორმოც და ათ-ათი ცალი, მაგრამ სულ არ საღდება. [illegible] ოც ცალ „[illegible]“, ქუთაისიდან „სოციალდემოკრატს“ და სოხუმიდან „მაიაკს“.

რომ ჟურნალ გაზეთების გავრცელების საქმე უკეთ მოეწყოს, კრებამ დაადგინა მისცეს ამხ. ფუტკარაძეს დამხმარედ შვიდი კაცი: კაპანაძე, ლომაძე, კეპარავა, მიგრენიაკ-ულენკო და მეხიაშვილი, რომელნიც რიგ-რიგობით მატარებლების გავლის დროს სადგურზე გაჰყიდიან გაზეთებს და აგრეთვე გაავრცელებენ ხალხში.

შემდეგ რიგს გარეშე კრების თავმჯდომარემ მოკლეთ განუცხადა კრებას შემდეგი: გაზ. „ბორბაში“ № 51 ვიღაც გიორგაძემ ცილი დასწამა ჩვენს ამხანაგებს როგოვს და მარჩენკოს, რომ ვითომ ისინი ადგილობრივი სოც. დემ. კომიტეტს გაეგზავნოს თფილისში ს. დ. კონფერენციაზე დასასწრებლად, რომ აღნიშნული პირები კონფერენციაზე არ დაუშვეს და პირში ჩალა გამოვლებული უკან გამოისტუმრეს. რომ ხსენებული პირები პარტიის სახელით აქედან არ წასულან და რომ გიორგაძის წერილის ეს მუხლი სინამდვილეს არ შეესაბამება, ჩვენ განუცხადეთ რაიონულ კოლექტივს, მაგრამ მან ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია და დაიცვა ასეთ ბრალდებისაგან ჩვენი ამხანაგები“.

ამ განცხადებაზე რაიონულ კოლექტივის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ როცა აღნიშნული როგოვი და მარჩენკო თფილისში გაემგზავრებულან კონფერენციაზე დასასწრებლათ იმ დროს აჯიკაბულში ს. დ. ორგანიზაცია ფაქტიურად არ არსებობდა. მაშასადამე, ვერც გაეგზავნიდენ. მეორე, როცა „ბორბაში“ წერილი დაიბეჭდა იმ ხანებში ხსენებული პირები ჩვენს ს. დ. ორგანიზაციის წევრებათ არ იყვნენ; ისინი ახლოთ შემდეგ შემოვიდნენ პარტიაში, და მესამე გიორგაძის მიერ მოთავსებულ წერილის შინაარსში ჩვენ ვერ ვპოვეთ ისეთი [illegible] ბრალდება ანუ ცილის წამება, რომელიც ღირსი ყოფილიყო პასუხის მოთხოვნისა. აღნიშნულ როგოვს და მარჩენკოს შეუძლიათ პრესის საშუალებით პასუხი მოსთხოვონ გიორგაძისათვის.

გ. თ—ია.

მუშათა ცხოვრება

ბათუმი. ბათუმის სასტუმრო რესტორანების, კლუბების და სასადილოების მოსამსახურეთა გაფიცვა გაფიცულებთა გამარჯვებით დამთავრდა. რამოდენიმე მოწინავე ამხ. წინამძღოლობით გაფიცვა კარგათ ჩატარდა. მუშებმა ხაზეინებს 19—მუხლიანი შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინეს. მეპატრონეებმა კავშირის საშუალებით მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს. გაფიცულებმა შეაგროვეს 800 მანეთი გაფიცულთა ფონდის სასარგებლოთ, მაგრამ რადგანაც გაფიცვამ მარტო სამ დღეს გასტანა ეს თანხა გადაეცა პროფ. კავშ. გამგეობას. კავშირის სასარგებლოთ.

პეტრე ძამითელი.

ნავთლუღის სადგური. 22 აგვისტოს მოხდა ნავთლუღის სადგურის მუშების კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. კოსტა წ—ხელია, კრების მიზანი იყო გაეცნობიდენ პროფესიონალურ კავშირის წესდებას. გ. ცინცაბაძემ ვრცელი სიტყვით მიმართა მუშებს და მოუწოდა, შეკავშირდენ და ფხიზლათ ადევნონ თვალი ირგვლივ მომხდარ ამბებს. პროფესიონალურ კავშირის შესახებ მოხსენება გააკეთა გ. ცინცაძემ და ურჩია მუშებს ჩაეწერიოდენ კავშირში. მან ვრცლათ აუხსნა დამსწრეთ პროფესიონალური კავშირის მნიშვნელობა და მოუწოდა ყველანი შემოკრებილიყვნენ ამ ახალ კავშირის ირგვლივ. ბოლოს მან მუშების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ ბოლო დროის თავი წამოყვეს ხალხის მტრებმა და აშკარათ ირაზმებიან რევოლუციის წინააღმდეგ. ყველა ასეთებს თვალ-ყური უნდა ადევნოთ—ურჩია მუშებს ამხანაგმა.

ხელ—ხანი.

ს. ჩომურძიანი (ურბნისის რკ. გზა). 20 აგვისტოს აქ ფერის ქარხანაზე მომუშავე მუშების და ჯარისკაცების შეერთებული კრება მოხდა. სხვა მიმდინარე საკითხთა შორის გარკვეულ იქნა იმ მუშების უმწეო მდგომარეობა, რომლებიც ვადის გათავების შემდეგ ჯარში უნდა წავიდნენ. ისინი, როგორც გამოირკვა ხსენებულ კრებაზე, ათიოდე კვირაობით და ზოგ მეტი ხნით „კანტორის“ კარებთან არიან. მათ არც სამუშაოს აძლევენ და არც ბინას და ასეთი ხერხით სურთ ძალით აიძულონ მუშას ხელი ოჯახზე და წვრილ ფულ-შეღებზე. ასეთი ამბავი ხშირი იყო ძველი რეჟიმის დროს, როდესაც სათავეში ხალხის მოღალატენი ისხდნენ, მაგრამ უფრო აღმაშფოთებელი არის—რომ ეს ისევ მეორდება დღეს. კრებამ დაადგინა პროტესტი გამოუცხადოს კანტორის გამგეს ფოდიავას.

პ. მათიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ღია წერილი „ზვირთის“ და „სახალხო საქმის“ კორესპონდენტს ბ-ნ დიქამშვილს.

როგორც მოგეხსენებათ, თქვენსა და კახეთის რკინის გზის პირველი უბნის უფროსის ბ-ნ ლ—ქავას შორის უნდა შემდგარიყო სამედიატორო სასამართლო იმ ბრალდებების გამოსარკვევათ, რომელნიც თქვენ წაუყენეთ მას პრესის საშუალებით.

მაგრამ სასამართლო რადაც მიზეზების გამო არ შესდგა...

როგორც ეხლა ირკვევა თქვენ მიერ წაყენებული ბრალდებები თქვენვე გიცვნიათ უსაბუთოდ და ბ-ნი ლ—ქავა უდანაშაულოთ; რწმუნებულის საშუალებით გითხოვიათ ლ—ქავასთვის საქმის მოსპობა და თანაც შეგითვლიათ, რომ თქვენ შეცდომაში შეგიყვანა სხვებმა, რომელთა შორის მეც დაგისახელებივართ.

ამიტომ გთხოვთ განაცხადოთ პრესის საშუალებით მოკლე ხანში: მართლა ითხოვეთ თუ არა თქვენ საქმის მოსპობა და აღიარეთ თუ არა, რომ თქვენ სხვებმა გაწვდიდნენ მასალებს და ვითომც მეც მომეწოდებინოს თქვენთვის რაიმე ცნობა?

თუ თქვენ ზემო აღნიშნულ კითხვებზე პასუხს არ მომცემთ,—მე უფლება მექნება ვიფიქრო, რომ საქმის მოსპობა მართლა გითხოვიათ ბ-ნ ლ—ქავასთვის და ცდილობთ სხვებზე ბრალი გადაიტანოთ, რაც ყოვლად შეუწყნარებელია პრესის თანამშრომლისათვის.

გრ. კანკავა.

სოფ. გოგნეთში (შემოქმედის საზოგ., ოზურგეთის მაზრა) პირველ სექტემბრიდან იხსნება პირველ დაწყებითი სასწავლებელი. საჭიროა დამრიგებელი. მისამართი: ოზურგეთი, კირილე ამაშუძეს, გოგნეთის შკოლისათვის.

ქ. თავრიზი (სპარსეთი). აქ დაარსდა ქართველ ჯართა უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. აქ მყოფი ჯარისკაცები მიმართავენ ყველას მოაწოდონ მცირეოდენი წიგნები. Кавказская армія, 114 запасн. пѣх. полкъ, 6 рота, вольноопредѣл. Акакію Дзнеладзе.

ამხანაგების მონდობ. ა. ძნელაძე.

გაზეთ „ერთობის“ მე-124 ნომერში მოთავსებული არის წერილი აბაშის პრესის ბიუროსაგან; ეს წერილი მეხება მე, „პატარა კაცუნას“, როგორც მიწოდებს აბაშის პრესის ბიურო.

სიმართლის აღსადგენად ვიწვევ აბაშის პრესის ბიუროს სამედიატორო სამართალში.

მედიატორებათ ვასახელებ შემდეგ პირებს: ალექსანდრე ბეგლარის ძე კორძაიას, „აბაშის რაიონის კომისარს“, თეოფანე მელიტონის ძე ძედლიას და მარკოზ ნიკოლოზის ძე რომანაშვილს; აგრეთვე დავასახელოს მედიატორები აბაშის პრესის ბიურომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ შვიდი დღის განმავლობაში.

განაჩენი უნდა გამოქვეყნებულ იქნეს გაზეთ „ერთობის“ მახლობელ ნომერში.

აბაშის სადგურის უფროსი ალექსანდრე ილიას ძე ჩხეიძე.

მადლობას ვუცხადებთ ამხანაგ მე-8 ე როტის ჯარის კაცებს, რომლებმაც მიიღეს ჩემი ახსნა განმარტება და როტის სამკითხველოს დაკარგული წიგნების ფასი 40 მანეთი ერთხმად მაპატიეს.

ჯარისკაცი ვარლამ ფურუშაძე.

„ერთობის“ № 123-ში ნატომირიდან ცნობა იყო მოთავსებული ორი ჯარისკაცის შესახებ. ესენი შესულან კოოპერატიულ მაღაზიაში და დანით გაუჭრიათ ერთი ტომარი პურის ფქვილი და მოუტაცნიათ. ამის გამო მოხდა კრება ქ. ბათუმში მე-18-ე ყარაულის როტაში. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ჯარისკაცი დიომიდე მგელაძე. თავმჯდომარე კრებას აცნობს გაზეთში მოთავსებულ ცნობას. კრებამ იქონია მსჯელობა და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, მე-18-ე ყარაულის 221 ბატალიონის ჯარისკაცები, ვუცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას ნატომირის კოოპერატივის გამგეობას. ჯარისკაცებს ლეონტი [illegible] და [illegible] დოლიძეს ვუცხადებთ ზიზღს და ჩვენ გულის-წყრომას ასეთი შეურაცხმყოფელი მოქმედებისათვის“.

ჯარისკაცი დიომიდე მგელაძე.

მადლობას ვუცხადებთ ნინა ქიტიაშვილის ასულს, რომელმაც თავის ნაცნობ-მეგობრებში შეაგროვა ბახმაროზე შემოწირულება ს. გაკოჯარის უფასო აკაკი წერეთლის სახელობის სამკითხველოსათვის. მადლობას ვუცხადებთ იმათაც, ვინც არ დაიშურა დახმარება და თავიანთი წვლილი.

მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე ზინა ბოლქვაძეს, რომელმაც თავის ნაცნობ-მეგობრებში შეაგროვა შემოწირულება, სულ—48 მან. 20 კაპ.

პატივისცემით სამკით. გამგეობა.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

გარდაიცვალენ სავადმყოფოში ქართველ მსროლელთა პოლკის მე-2 როტის შემდეგი ჯარისკაცები: რუსიძე მიხეილ იოანეს ძე, (ოზ. მაზრა); ბოჭორიშვილი რაჟდენ მაკარის ძე, (ქუთაისის მაზრა); გოგეშვილი ერასტი სიმონის ძე, (ოზურ. მაზრა); ფიფია პლატონ ისიდორეს ძე, (ზუგდიდის მაზრა) და ფერაძე სევასტი თეიმურაზის ძე (შორაპნის მაზრა). ჯ.-კაცი კალისტრატე თარგამაძე.

— სანდრო დავითის ძე გაბუნია ს. ეწერის მცხოვრები (სენაკის მაზრა) მუშაობდა შავი ზღვის რკინის გზაზე ტუაპსე და გაგრის შუა. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: с. Караурганъ (Карск. обл.) складъ механической части Якову Iосевичу Габунія.

— ჯარისკაცი ერასტი გოგია (სოფ. დიდინეძის, ზუგდიდის მაზრა) მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში, მე-7 კავკასიის მსროლელთა პოლკში, მე-16 როტაში, მე-2 ვზვოდში. თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოს შემდეგი მისამართით: კავკასიის არმია, მე-14 მუშათა ბატალიონი, მე 7 როტა, გრიგოლ გოგია.

— ჯარისკაცი ესტატე ბარგიევის ძე ზარხუა ზუგდიდის მაზრა, სოფელ წალენჯიხას მცხოვრები მსახურობდა მე-2 ყარსის პოლკში მწერლათ იყო ზვანში. 8 აგვისტოს ტრაღიკულათ გარდაიცვალა. დაასაფლავეს სალმასში (სპარსეთი). განსვენებულს დარჩა ფულით 33 მან. 25 კ., რომელიც ჩაებარეთ მილიციის უფროსს ბეგთაბეგოვს. დანარჩენი მისი ბარგი გაიგზავნება პოლკში. მშობლებს შეუძლიათ მოითხოვონ ფული ამ მისამართით: Персія, Бендарабадъ, начальнику милиціи кн. Бекдабегову. ჯ.-კაცი თეოფილე ჯორბენაძე.

— ჯარისკაცი იოსებ მიხეილის ძე მაისურაძე მსახურობდა მე-116 სათადარიგო ქვეითა პოლკში. იანვარში იქნა გაგზავნილი ოსმალეთის საზღვარზე. მას შემდეგ არაფერი ვიცით მის შესახებ. გთხოვთ ყველას გვაცნობოთ: ქ. ახალციხე, მე-116 სათადარიგო პოლკი, მე-4 როტა, ზაქარია მელიქიშვილი.

— ჯარისკაცი ლადიკო სილოვანის ძე ტუღუში ოზურგ. მაზრა, სოფ. ხვარბეთი. მსახურობდა მე-652 ქვეითა პოლოცკის დრუჟინაში, მე-3 როტაში, მე-2 ვზვოდში. ვთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოს ამ მისამართით: კავკასიის მოქმედი არმია, მე-25 კავკ. მსროლელთა პოლკი, მე-3 როტა, იაკობ სილოვანის ძე ტუღუში.

— ჯარისკაცი კლიმენტი ალექსის ძე გუგუშვილი მსახურობდა მე-21 კავკასიის მსროლელთა პოლკში, მე-2 როტაში. ვთხოვთ ამხანაგებს, თუ რამე იციან მის შესახებ, გვაცნობონ. სადგ. აბაშა, სენაკის მაზრა, ვიქტორ გაბუნია.

— ქართველ მსროლელთა პოლკის მეთუსიკეთა კომანდა ამით აუწყებს მშობლებს და ნათესავებს ტრაღიკულათ გარდაცვალებას ამხ. შალვა ივლიანეს ძე ცინცაძის (ოზურ. მაზრა), რომელიც გარდაიცვალა 8 აგვისტოს ამა წლის მე-3 მ. ლაზარეთში ქ. სოუჯბულახში (სპარსეთი). ამხანაგების დავალებით შალვა ლორთქიფანიძე.

— ჯარისკაცი ლადიკო იოანეს ძე მიხელიძე მსახურობდა მე-2 კავკასიის ქვეითა მესაზღვრე პოლკში მე 8 ასეულში.

— შალიკო ალექსის ძე ხვედელიძე მსახურობდა მე-27 ბრიგადაში მე-160 ვორონეჟის ქვეითა დრუჟინაში.

— პლატონ (პატუა) იასონის ძე ნადარაძე მსახურობდა ქართველ მსროლელთა ქვეითა პოლკში მე-11 როტაში მე-2 ვზვოდში.

— გიორგი იასონის ძე ნადარაძე მსახურობდა ქ. ალექსანდროპოლში მე 223 სათადარიგო ქვეითა პოლკში.

— სიმონ ივანეს ძე მახელიძე მსახურობდა მე-33 საპიორნის კომანდაში, კავკ. მოქმედ ჯარში მე-4 როტაში პირველ ვზვოდში.

— იოსებ ლუკას ძე მოდებაძე და პავლე ივანეს ძე მოდებაძე მსახურობდენ მოქმედ ჯარში მე 651 ქვეითა პოლოცკი დრუჟინაში მე-3 როტაში, მე 3 ვზვოდში. ვთხოვ ყველას, ვინც რამე იცის ჩამოთვლილი პირების შესახებ, შეატყობინოს შემდეგი მისამართით: მოქმედი არმია, მე 648 პოლოცკის დრუჟინა მე-3 როტა, მე 4 ვზვოდი, პარმენ ისაიას ძე მიხელაძე.

ქუთაისში
ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
იღებს შინაგან, ბავშვთა და [illegible] სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე. პუშკინის ქუჩა, ვიტვიცკის სახლში.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე კვირის გარდა, 1—2 და საღ. 5—6 ნახ. ს-დის, გუნიბის ქ. № 41.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს საღ. 6—8 საათ. ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, (სისხლის ნაკლებობით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ.) ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხვ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 8. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
(12—6)

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა ღ განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სამკურნალო [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. მ. მუხაძე
ქობულეთში გამგზავრების გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კირიჩნის ქუჩა, 13, ტელეფონი № 11—32.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
[illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] [illegible]. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.
ექიმი გ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ზაქარაძის სახლი.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და [illegible] (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის“ პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმ ბ. ი. მოპიელის
ელექტრობისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი ღ ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ზეფხაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ბუხგალტერიის და კონტორის ცოდნათა კურსები
პირველ თფილისის კომერციულ სასწავლებელთან ორივე სქესის პირთათვის. მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბრიდან, გათავდება 20 დეკემბერს. თხოვნები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში.
(15—8)

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.
გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:
ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყიდდება 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის-მომწერთათვის 1 მანეთი. გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба“.
თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება“ ოლღას ქუჩა, № 6.
იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობაზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვთხოვთ შესაფერათ შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის და მიხედვით.

[illegible] სტამბა [illegible] გამზირის შესახვევი № 1.